



საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ საქმიანობის ანგარიში 2007-2017 წლები

2007 წლიდან დღემდე ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდმა „ლაზარემ“ განახორციელა, როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი პროექტები:

1. სახელობო პროფესიული სწავლების პროექტი სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის (2006-2009წწ.);
2. სამშვიდობო ბანაკები საქართველოსა და სომხეთში (2007-2014წწ.);
3. აგვისტოს ომის დროს დევნილთა ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა (2008 წელი);
4. საქველმოქმედო ღონისძიება (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) 2009წ.);
5. ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში (2015-2017წწ.);
6. სოფლის მეურნეობის პროექტი „ფერმერთა სკოლა“ საგარეჯოში(2014-2016წწ.)
7. საქველმოქმედო სტატუსის მინიჭება (2015წელი);
8. პროექტი „სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები“ (2015წელი);
9. ფონდ „ლაზარეს“ მონაწილეობა საერთაშორისო საქველმოქმედო ღონისძიებებში ავსტრიაში და ჩეხეთში (2015-2017წწ.);
10. მაშავის პროექტი (MASHAV- ისრაელის განვითარების საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო) (2016წელი);
11. საგანმანათლებლო პროექტი „წიგნები სკოლებს“(2016-2017წწ.);
12. სოფლის მეურნეობის პროექტი „ფერმერთა სკოლა სართიჭალაში“ (2016-2017წწ.);
13. ვითიბი ბანკის საქველმოქმედო-ჰუმანიტარული პროექტი (2016-2017წწ.);
14. ფონდ ლაზარეს მიერ არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების დაფუძნება (2017 წწ)

1. სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტი სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის 2007-2017წწ.

ფონდმა „ლაზარემ“ სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტი სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის 2006 წლის გაზაფხულზე შევიცარიული ორგანიზაცია HEKS/EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შენობაში გამოიყო ფართობი სასწავლო სახელოსნოების მოსაწყობად.

2006-2009 წწ. პროექტის ფარგლებში გაიხსნა ოქრომჭედლობის, სამკერვალო, ხის მხატვრული დამუშავებისა და სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოების სპეციალობის შემსწავლელი სახელოსნოები, სადაც სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი (მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, შშმ პირები, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოზარდები, ბავშვები მრავალშვილიანი და მარჩენალის გარეშე დარჩენილი ოჯახებიდან) სრულიად უფასოდ დაეუფლა მათთვის სასურველ სხვადასხვა სპეციალობებს.

ფონდის გადაწყვეტილებით, პროფესიონალური ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით პროექტში ჩართულიმონაწილეებისთვის ტარდებოდა ბიზნეს კურსები, სადაც განიხილებოდა შემდეგი საკითხები:

- როგორ დავიწყოთ ბიზნესი
- ბიზნეს გეგმის მომზადება
- მცირე ბიზნესის მართვისას სამართლებრივი და ეკონომიკური ნორმების ცოდნა
- წარმოების მდგრადობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში
- ღირებულების გაანგარიშება
- ადამიანური რესურსების მართვა
- პოტენციური კლიენტების მოზიდვა

ტრენინგზე ხდებოდა სამომავლო გეგმების შემუშავება და სხვადასხვა საქმიანობის დაწყების შესაძლებლობები.

ბიზნეს კურსის გავლის შემდეგ მონაწილეთა გარკვეული რაოდენობა ერთმანეთთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამდა. ასე მაგ. 2009 წელს, 7 ბენეფიციარმა (3 გოგონა და 4 ბიჭი) გადაწყვიტა ლითონისა და ხის დამამუშავებელი სახელოსნოს გახსნა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ლაზარე“ მთლიანად იყო კონცენტრირებული მონაწილეებისთვის სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით, ამიტომ მათი სახელოსნო ყველა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით უსასყიდლოდ მოამარაგა. ახალგაზრდები ძალიან ბედნიერები იყვნენ, რომ საშუალება მიეცათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

სწავლების დასრულების შემდეგ, სამმა კურსდამთავრებულმა გადაწყვიტა თავის საცხოვრებელ ადგილს დაბრუნებოდა: ერთი ქარელის და ორი კასპის რაიონში. მათ დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გარემონტება-შეკეთება, შედეგად გაუჩნდათ მცირე შემოსავალი.

ასევე დასაქმდნენ სანიტარული ტექნიკის შემსწავლელი ჯგუფის ახალგაზრდებიც: ხუთმა მათგანმა ერთ-ერთ სკოლაში წყლის საკანალიზაციო სისტემა გაარემონტა, შემდეგ მთელი ჯგუფი (8 ბიჭი) ბაკურიანში გაემგზავრა და მცირე სასტუმრო სახლების სარემონტო სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა. მოზარდებისთვის იმედის მომცემია ის გარემოება, რომ ახლო მომავალში, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, მიიღებენ სერიოზულ შეკვეთებს და მათი მატერიალური მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

ჭრა-კერვის შემსწავლელ კურსის მონაწილე ორმა გოგონამ კერძო სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, რაც შეეხება დანარჩენ კურსდამთავრებულებს სამკერვალო ჯგუფიდან ისინი საკუთარი სახლში იღებენ შეკვეთებს.

2010 წლიდან, სს „თელასი“ დაინტერესდა პროექტის წარმატებული საქმიანობით და მისი ფინანსური თანადგომით დაიწყო მორიგი ეტაპი- „სახელობო პროფესიული სწავლების ორგანიზება სოციალურად დაუცველი მოზარდებისთვის“; 2010-2011 წლებში გაიხსნა ჭრა-კერვის, ხის მხატვრული დამუშავებისა და ხატვის შემსწავლელი ახალი სახელოსნოები, რომლებიც ყველა აუცილებელი ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვა.

2012 წლიდან, პროექტის თანადამფინანსებელია საქართველოს საპატრიარქოც. ამასთან, უკვე არსებულ სახელოსნოებს დაემატა თექის, დეკორატიული ხელოვნებისა (მინის მხატვრული დამუშავება) და ფარდაგების ქსოვის შემსწავლელი სახელოსნოები.

2014 წელს, „ლაზარემ“, სს „თელასის“ მხარდაჭერით, სახელოსნოების და სახელობო პროფილების რიცხვი კვლავ გაზარდა, ამჯერად ახალი სასწავლო სახელოსნოები გაიხსნა და მოეწყო საჯაროს კოლების ბაზაზეც.

პროექტის მიმდინარეობისას, ფონდი სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების პრობლემებით საზოგადოების დაინტერესების მიზნით რეგულარულად აწყობდა სასწავლო სახელოსნოებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვებს, ამზადებდა სატელევიზიო გადაცემებს.

- 2006 წლის დეკემბერში, ნარიყალას წმ.ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ტერიტორიაზე მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბენეფიციარების მიერ ფერადი ლითონებისგან დამზადებული ნაკეთობები;
- 2009 წლის დეკემბერში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა „ლაზარეს“ საქმიანობის შესახებ გადაღებული ფილმის პრეზენტაცია და სასწავლო სახელოსნოებში დამზადებული ნამუშევრების გამოფენა;
- 2010 წლის ივნისში, სასტუმრო „ტიფლის პალასში“ ორგანიზებულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სასწავლო სახელოსნოებში დამზადებული ნამუშევრები;
- 2011 წლის აპრილში, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო გამოფენა. ეს იყო პირველი საქველმოქმედო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები და მათ მცირე წვლილი შეიტანეს სხვა დაუცველი ადამიანების მხარდაჭერის აქციაში. გაყიდული პროდუქციის შემოსავლის ნაწილი დიღმის ბავშვთა სახლს საჩუქრად გადაეცა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაზარდა მოტივაცია და სტიმულიც გაორმაგდა;
- 2013 წლის მაისში, იტალიაში, ქართულ-იტალიური ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოფენაზე, სადაც დამთვალირებელს შეეძლო „ლაზარეს“ სასწავლო სახელოსნოებში შექმნილი ნამუშევრების ხილვა, იტალიის მხარის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით, ჩვენ ბენეფიციარებს ვერცხლის მედალი გადაეცათ;
- 2011 წლის 15 ივლისში, გალერეა „ტიფლის ავენიუში“ წარმოდგენილი იყო, როგორც ფერადი ლითონისგან შექმნილი პროდუქცია, ასევე სამკერვალო სახელოსნოში დამზადებული ნამუშევრები. გამოფენა გაშუქდა სხვადასხვა სატელევიზიო არხზე;

- 2011 წლის ნოემბერში, „ლაზარე“ მიწვეული იყო სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ხელნაკეთობების გამოფენაზე;
- 2012 წლის იანვარი - საშობაო გამოფენა, რომელიც საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ იყო მოწყობილი;
- 2012 წლის მარტი - სასტუმრო „რადისონში“ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებული ხელნაკეთობების გამოფენა;
- 2012 წლის 6 აპრილს, პროექტის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოფენაში და მის ფარგლებში ჩატარებულ საკმაოდ საინტერესო სემინარზე;
- 2012 წლის 7-8 აპრილი - ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის პროექტის მიერ ორგანიზებული სემინარი- "შემოქმედებითი ინდუსტრიული / მემკვიდრეობის მართვისა და პროდუქციის განვითარება". სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ პროექტის პედაგოგები და მიიღეს შემდგომი განვითარებისათვის საინტერესო რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება ჩატარდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ხალხური რეწვის გაძლიერებისათვის;
- 2012 წლის 25-26 ივლისი - საპატრიარქოს წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიულ კოლეჯში „ლაზარეს“ თანამშრომლების მიერ მოწყობილი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ოქრომჭედლობის და მინანქრის ნაკეთობები, ასევე სამკერვალოს სახელოსნოში დამზადებული ნამუშევრები;
- 2013 წლის იანვარი - საშობაო გამოფენა, რომელიც წმინდა სამების საკათედრო ტაძართან არსებულ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი მიერ იყო მოწყობილი;
- 2013 წლის მარტი - არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალი და ბიზნესის" მიერ ორგანიზებული ხელნაკეთობების გამოფენაზე „ევროპის სახლში“ წარმოდგენილი იყო მინანქრის სასწავლო სახელოსნოში დამზადებული ნაკეთობები;
- 2013 წლის ივლისში, ფესტივალ არტ-გენზე წარმოდგენილი იყო მინანქრის სასწავლო სახელოსნოში დამზადებული ნამუშევრები;

- 2013 წლის 15-16 ივლისი - წმინდა სამების საკათედრო ტაძართან არსებულ საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში „ლაზარეს“ მიერ ორგანიზებული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სასწავლო სახელოსნოებში შექმნილი ფერადი ლითონებისგან დამზადებული სამკაულები, ჭედურობისა და ხეზე ნაკვეთი ნამუშევრები, სამკერვალო ნაწარმი, აკვარელში შესრულებული ნახატები, გობელენები და თექისგან დამზადებული ნივთები;
- 2013 წლის 15-16 ივლისს, წმინდა სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში, მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სასწავლო სახელოსნოებში შექმნილი ფერადი ლითონებისგან დამზადებული სამკაულები, ჭედურობისა და ხეზე ნაკვეთი ნამუშევრები, სამკერვალო ნაწარმი, აკვარელში შესრულებული ნახატები, გობელენები და თექისგან დამზადებული ნივთები;
- 2013 წლის 28 ნოემბერს, ფონდ „ლაზარეს“ ორგანიზებით, პროექტის ფარგლებში, თბილისის ისტორიის მუზეუმში, საქართველოს სახალხო მხატვრის ქალბატონ მანაბა მაგომედოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა. სადამოუხე წარმოდგენილი იყო მხატვრის ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები და მინანქრის სასწავლო სახელოსნოში მისი კონსულტაციის შედეგად დამზადებული მოსწავლეების ნამუშევრები. წარმოშობით დაღესტნელი ოქრომჭედელი, 2008 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და აუნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით ფონდ „ლაზარეს“ მიერ განხორციელებულ სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტის ფარგლებში გახსნილ სასწავლო სახელოსნოებში ოქრომჭედლობასა და მინანქარზე მუშაობას ასწავლიდა ახალგაზრდებს.
„ლაზარეს“ გამგეობის გადაწყვეტილებით ოქრომჭედლობის სასწავლო სახელოსნოს მანაბა მაგომედოვას სახელი მიენიჭა. ლეილა იზაბეკოვა: „ეს გამოფენა ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ის ნამუშევრებია წარმოდგენილი, რომლებიც ახალგაზრდებმა დედაჩემის ხელმძღვანელობით შექმნეს. დღეს, დედას 85 წელი შეუსრულდებოდა და ძალიან მიხარია, რომ იმ სახელოსნოს, სადაც იგი თავის ხელობას მთელი გულითა და სულით ახალ თაობას უზიარებდა, მისი სახელი დაერქმევა“.

- 2014 წლის 28-29 ივნისს, წმინდა სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში, სახელობო- პროფესიული სწავლების პროექტში მონაწილე სოციალურად დაუცველი მოზარდების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ფერადი ლითონებისგან შექმნილი სამკაულები, ხის ნაკეთობები, სამკერვალო ნაწარმი, ნახატები, გობელენი და თექისგან დამზადებული ნივთები;
- 2015 წლის 8-9 დეკემბერს, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სასწავლო სახელოსნოებში დამზადებული საიუველირო ნაწარმი, მინანქარი, ჭედურობა, ხეზე ნაკვეთი ნივთები, ტანსაცმელი, ფარდაგები, თექის ნაწარმი და ა.შ.
- 2017 წლის 1 დეკემბერს, კოალიციის „განათლება ყველასთვის-საქართველო“ ორგანიზებით, საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“ გაიმართა გამოფენა-კონფერენცია „სკოლა და არაფორმალური განათლება“.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პროექტში მონაწილე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მქონე ახალგაზრდებისთვის იმედისა და ახალი ცხოვრების დაწყების სტიმული აღმოჩნდა სახელობო პროფესიების შესწავლა. ფონდის დიდი ძალისხმევით, პროექტის არსებობის მანძილზე 2000-მდე ბენეფიციარი დაუფლა სხვადასხვა სპეციალობას. ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მუდმივად ხდებოდა წარმატებული ჯგუფებისთვის პროექტის მიმდინარეობისას შეძენილი ინვენტარისა და ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემა ახალი სახელოსნოების მოსაწყობად. „ლაზარესთვის“ პრიორიტეტულია მომავალში ახალგაზრდებმა თავიანთი საქმიანობა დამოუკიდებლად განაგრძონ, შესწავლილი სპეციალობების მეშვეობით ჰქონდეთ ღირსეული სამუშაო და თავადვე მოიწყონ საკუთარი ცხოვრება.

2017 წელს, სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტის ფარგლებში გახსნილი ყველა სასწავლო სახელოსნო (ოქრომჭედლობის, მინანქრის, ჭრა-კერვის, ხის მხატვრული დამუშავების, თექისა და დეკორატიული ხელოვნების), რომლებიც სხვადასხვა ადგილას მდებარეობდა, ერთ სივრცეში განთავსდა და ფუნქციონირებას განაგრძობს ფონდ „ლაზარეს“ მიერ დაფუძნებულ პროფესიულ სასწავლებელში-„სახელობო სკოლა“. სასწავლებელი სოფელ დილომში, 120 კვ.მეტრის ფართობზეა განლაგებული; სახელოსნოების რემონტი, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, სააქციო საზოგადოება „თელასმა“ უზრუნველყო. სახელობო სკოლაში ნებისმიერ მსურველს, ასაკის შეუზღუდავად შეუძლია მიიღოს არაფორმალური სახელობო-პროფესიული განათლება შემდეგ სპეციალობებზე: ოქრომჭედლობა და მინანქარი, მინის მხატვრული დამუშავება, თექა და დეკორატიული ხელოვნება, სამკერვალო ნაწარმის დამზადება. აგრეთვე მოწვეული სპეციალისტების მიერ სკოლაში ტარდება ფაკულტატური ლექციები სხვადასხვა თემებზე, ეწყობა სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი ნამუშევრების გამოფენები, მათი პოპულარიზაციისა და პოტენციური დამკვეთების თუ მყიდველების მოზიდვის მიზნით.

სახელობო სკოლის მისია, მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცის შექმნა და პროფესიული უნარ-ჩვევების მიღების შესაძლებლობა კი არ არის, არამედ სტუდენტების დასაქმება და ბიზნესის დაწყების ხელშეწყობაც. ამიტომ, სწავლის დასასრულს, წარმატებულ კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ გაიარონ ტრენინგ-კურსი მცირე ბიზნესის მენეჯმენტში, სადაც მიიღებენ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ წამოიწყონ საკუთარი საქმე და ამისთვის რა ეკონომიკური და იურიდიული ნორმებია საჭირო.

2. პროექტი -სამშვიდობო ბანაკები საქართველოსა და სომხეთში

2007-2014 წწ. (HEKS/EPER)

პროექტის შექმნის მოკლე ისტორია

2007 წელს, საქველმოქმედო ფონდმა „ლაზარემ“ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის ხელშეწყობის მიზნით, სომხურ არასამთავრობო ორგანიზაცია „სიუნიკთან“ ერთად დაიწყო პროექტი: „საზაფხულო ბანაკები სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოზარდებისთვის,“ რომელიც ითვალისწინებდა სომეხი და ქართველი ახალგაზრდების აქტიურ დასვენებას საქართველოსა და სომხეთში. 2012 წლიდან პროექტს ა(ა) იპ „მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელი“ და „საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“ შეუერთდა. 2014 წლიდან კი ოთხივე ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობის შედეგად განხორციელება დაიწყო ახალმა ფაზამ: „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სახმრეთ კავკასიაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ტოლერანტობის გაღვივებას და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, კულტურათა ურთიერთგაცვლას, კონფლიქტების მართვის უნარ-ჩვევების შეძენას. მისი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია საზაფხულო ბანაკების მოწყობა 16-დან 18 წლამდე ასაკის ქართველი, აფხაზი, სომეხი და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოზარდებისთვის. პროექტი შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაცია HEKS/EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

მოსამზადებელი შეხვედრა

ყოველწლიურად პროექტის აქტივობები იწყებოდა ორდღიანი სამუშაო შეხვედრით პროექტში ჩართული ორგანიზაციებისა და ტრენერების მონაწილეობით, ტრენინგების პროგრამებისა და თემატიკის მოსამზადებლად, ასევე პროექტის ტექნიკური საკითხების განსახილველად. შეხვედრის პირველ დღეს პარტნიორები პროექტის მიზნების საფუძველზე წარადგენდნენ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს ორივე ტრენინგისთვის, ხოლო მეორე დღეს ტრენერები განიხილავდნენ ტრენინგების დღის წესრიგს, გამოყენებული მეთოდებისა და თემების დეტალური აღწერით.

პროექტის მონაწილეთა შერჩევა (ახალგაზრდები-ბანაკის ლიდერები)

თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია პასუხისმგებელი იყო ბანაკის ლიდერების შერჩევაზე თავიანთ ქვეყანაში ან რეგიონში. ფონდი „ლაზარე“ ყოველწლიურად აცხადებდა კონკურსს საუკეთესო პროფილის მქონე, მოტივირებული ახალგაზრდების შესარჩევად პროექტის კრიტერიუმების მიხედვით (მონაწილეები უნდა ყოფილიყვნენ 20-დან 28 წლამდე, ჰქონოდათ რუსული ენის კარგი ცოდნა, გამოცდილება ახალგაზრდულ პროექტებში, მაგ. გაცვლითი პროგრამები, ბანაკები და მონაწილეობა შესაბამის ტრენინგებსა და სემინარებში).

კანდიდატებს უნდა გამოეგზავნათ თავიანთი CV და სამოტივაციო წერილი. ლიდერების შერჩევა ხდებოდა „ლაზარეს“ საორგანიზაციო კომიტეტის (დირექტორი, პროექტის მენეჯერი და კოორდინატორი) მიერ. მონაწილეთა საბოლოო ნუსხა და მათი ბიოგრაფიები ეგზავნებოდა ტრენერებს, რათა წინასწარ გაცნობოდნენ თითოეული კანდიდატის გამოცდილებას.

ლიდერთა შერჩევის შემდეგ ფონდი „ლაზარეს“ პროექტის მენეჯერი კოორდინატორთან ერთად შეხვედრას აწყობდა ლიდერებთან, სადაც მათთვის იმართებოდა პროექტის პრეზენტაცია. ლიდერებთან ფორმდებოდა შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც შედიოდა ორივე მხარის უფლება-მოვალეობები.

ტრენინგი ლიდერობასა და კონფლიქტის მართვაში

ყოველწლიურად ორი ერთობლივი ტრენინგი ტარდებოდა ლიდერების მოსამზადებლად სომეხი და ქართველი ტრენერების მიერ. ერთი კონფლიქტების მედიაციისა და ტრანსფორმაციაზე და მეორე - ლიდერობასა და ფასილიტაციაზე. „ლაზარე“ პასუხისმგებელი იყო ლიდერობისა და ფასილიტაციის ტრენერის იდენტიფიცირებაზე, სომხური არასამთავრობო ორგანიზაცია „სიუნიკი“ - კონფლიქტის მედიაციისა და ტრანსფორმაციის ტრენერის გამოვლენაზე. ინტერვიუებისა და HEKS/EPER სამხრეთ კავკასიის ოფისის წარმომადგენლების რეკომენდაციების შედეგად არჩევანი შეჩერდა გამოცდილ ტრენერებზე; შერჩევის შემდეგ, რეგულარული შეხვედრები ეწყობოდა, სადაც განიხილებოდა პროექტი, ტრენინგის მიზნები და თემატიკა და ა.შ.

ლიდერთა და მონაწილეთა შერეული ჯგუფის ორგანიზება

ლიდერთა ტრენინგების შემდეგ, პროექტის ხელმძღვანელები ტრენინგების რეკომენდაციების გათვალისწინებით ლიდერთა შერეულ ჯგუფებს აკომპლექტებდნენ.

ჯგუფების შედგენის ძირითადი კრიტერიუმები იყო:

1. ლიდერთა სურვილი და მზადყოფნა
2. გენდერული ბალანსი
3. ბანაკის აქტივობების ორგანიზების შესაძლებლობები
4. რუსული ენის ცოდნის დონე

ბანაკის თითოეული ნაკადისთვის კომპლექტდებოდა ლიდერთა სამი შერეული ჯგუფი. საქართველოს ნაკადისთვის ლიდერთა თითოეულ ჯგუფში შედიოდნენ: ერთი ქართველი, ერთი აფხაზი, ერთი სომეხი და ერთი აზერბაიჯანელი ლიდერი, სომხეთის ნაკადის განგანსხვავებით, სადაც შერეული ჯგუფები მხოლოდ ქართველებისა და სომხებისგან კომპლექტდებოდა.

პროექტის მონაწილეების შერჩევა (მოზარდები - ბანაკის მონაწილეები)

თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია პასუხისმგებელი იყო მონაწილეების შერჩევაზე თავიანთი ქვეყნიდან ან რეგიონიდან. „ლაზარეს“ პროექტის მენეჯერი აწყობდა შეხვედრებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან, საჯარო სკოლის ადმინისტრაციებთან, რა დროსაც ხდებოდა პროექტის პრეზენტაცია მოზარდების შერჩევის პროცესში ჩართვის მიზნით.

„ლაზარეს“ საორგანიზაციო კომიტეტის (დირექტორი, პროექტის მენეჯერი და კოორდინატორი) მიერ პროექტის მონაწილეების შერჩევა ხორციელდებოდა განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (ასაკი 16-დან 18 წლამდე, რუსული ენის ცოდნა, კანდიდატებს მონაწილეობა არ უნდა ჰქონოდათ მიღებული ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებულ წინა ბანაკებში). პროექტის მენეჯერი კოორდინატორთან ერთად შეხვედრას აწყობდა შერჩეულ მოზარდებთან (პროექტის მონაწილეებთან) და მათ მშობლებთან, რომლებსაც მიეწოდებოდათ დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ (პროექტის ხანგრძლივობაზე, ბანაკში მონაწილე სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე, ადგილმდებარეობაზე, ბანაკის მენიუზე, ყოველდღიურ აქტივობებზე, დღის წესრიგზე, და ა.შ.).

ბანაკები საქართველოსა და სომხეთში

ყოველწლიურად ორი ბანაკის ორგანიზება ხდებოდა პროექტის მიხედვით, საქართველოში - ბორჯომის რეგიონში და სომხეთში - დაბა ელეგნადორში. საქართველოში ბანაკის მოწყობაზე პასუხისმგებელი ფონდ „ლაზარეს“ პროექტის შტატი იყო. ბანაკის დაწყებამდე შტატის წევრები ახდენდნენ ოთახების განაწილებას- მომზადებას (დასუფთავება, თეთრეულით უზრუნველყოფა), საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენის საშუალებების მომარაგებას, სამზარეულოს მოწესრიგებას, ბანაკის აქტივობებისა და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარისა და მასალების შექმნას და ა.შ. ბანაკის პროგრამა შედგებოდა შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან: თამაშები მონაწილეთა ურთიერთგაცნობისა და გუნდების ჩამოყალიბებისათვის, სესიები კონფლიქტების მედიაციასა და ტრანსფორმაციაში, კინოჩვენებები და დისკუსიები, უცხო ენის შემსწავლელი გაკვეთილები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები, ინტერკულტურული სესიები და საღამოს ღონისძიებები და ა. შ.

სესიები კონფლიქტების მედიაციასა და ტრანსფორმაციაში

სესიებზე ლიდერები მუშაობის იმავე მეთოდებს იყენებდნენ, რაც თავად შეისწავლეს ტრენინგების დროს: არაფორმალური განათლების ფორმები, მაგალითად: გაზიარება და სწავლება ჯგუფების მეშვეობით, პრაქტიკული სავარჯიშოები, სწავლა კეთებით და სხვა. საქმიანობის ძირითად სახეობებს მიეკუთვნებოდა ჯგუფური მუშაობა, სიმულაციები, ინტერაქტიული თამაშები და ფორუმის თეატრის მეთოდოლოგია. თითოეულ ნაკადში სამი სექცია იყო ორგანიზებული; სიმღერა-ცეკვა, ხატვა-ხელსაქმე და დრამა-ჟურნალისტიკა. ყველა მონაწილეს ჰქონდა შანსი ემუშავა თავის არჩეულ სექციაში. სექციების საშუალებით, მოზარდებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და სხვებისთვის დემონსტრირებისთვის. სექციებში ხდებოდა თემატური საღამოების მომზადება: დრამა/ჟურნალისტიკის სექციის წევრები მუშაობდნენ, როგორც საღამოს ღონისძიების რეჟისორები: წერდნენ სცენარს მინი სკეტჩისთვის და ადგენდნენ პროგრამას; სიმღერისა და ცეკვის სექცია მუსიკალურად აფორმებდა საღამოს, ხოლო ხატვა/ხელსაქმის სექცია კი მხატვრულად: აქ იქმნებოდა დეკორაციები, კოსტიუმები, აქსესუარები.

სიმღერისა და ცეკვის სექციაზე მოზარდები ერთმანეთს ასწავლიდნენ თავიანთ ეროვნულ ცეკვებსა და სიმღერებს; დრამა/ჟურნალისტიკის სექციაზე სცენარების შექმნისას ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი ქვეყნის ისტორიულ მოვლენებს, ხალხურ თქმულებებსა და ლეგენდებს. საინტერესო ინფორმაციული ურთიერთგაცვალა ხდებოდა ხატვა/ხელსაქმის სექციებზე ეროვნული კოსტიუმების ერთობლივი შექმნისას. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოში, ახალდაბის ბანაკში მომხდარი ქართულ-აფხაზური მეგობრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტი: საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ნაზავი ცეკვების მომზადების ახალი ტრადიციის ინიცირება მოხდა აფხაზ ილიდერის მიერ-აჭარულ, რაჭულ, სვანურ ცეკვებს შორის იყო აფხაზური ცეკვის ელემენტები, წარმოდგენილი როგორც ქართული კულტურის ნაწილი.

კინოჩვენება და დისკუსიები

ასევე, პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული გაცვლითი ბანაკების ორგანიზების გარდა, ხორციელდებოდა სხვა აქტივობებიც: სამიზნე სკოლებში ეწყობოდა კონფლიქტების თემაზე შექმნილი ფილმების ჩვენება, მოწვეული მოდერატორის დახმარებით იმართებოდა საინტერესო დისკუსიები, ტარდებოდა გამოფენები, ეწყობოდა ექსკურსიები (ახალციხე: რაბათის ციხე, ქრისტიანული ტაძარი, მეჩეთი, მინარეთი, სინაგოგა, ჯაყელების სასახალე, ისტორიის მუზეუმი, აბანოები, ციტადელი; მცხეთა: სვეტიცხოვლის ტაძარი და სამთავროს მონასტერი).

პროექტი, ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“ ემსახურება ახალგაზრდების ფართო ინფორმირებას რეგიონში არსებული კონფლიქტების შესახებ და მათ აქტიურ ჩართვას მშვიდობის მშენებლობისა და მისი განმტკიცების პროცესში.

3. აგვისტოს ომის დროს დევნილთა ჰუმანიტარული დახმარების

პროგრამა 2008 წელი

2008 წლის აგვისტოში, საქველმოქმედო ფონდმა „ლაზარემ“ დაიწყო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა აგვისტოს ომის დროს დაზარალებული მოსახლეობისთვის. პროექტის ფარგლებში, აღნიშნული დახმარება, თბილისსა და გორში, 600 დევნილმა მიიღო, მათ დაურიგდათ პირველადი მოხმარების ნივთები და საკვები პროდუქტები.

4. საქველმოქმედო ღონისძიება (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) 2009წ.

2009 წელს, ფონდ „ლაზარეს“ ორგანიზებით და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება, სადაც წარმოდგენილი იყო ფონდის საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა, სასწავლო სახელოსნოებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა (საიუველირო, მინანქრის, ჭედურობისა და ხეზე ნაკვეთი, ასევე აკვარელში შესრულებული ნახატები და მოზარდების მიერ შეკერილი ტანსაცმელი).

ღონისძიებას საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის ორი ჟურნალისტი უძღვებოდა, რომლებმაც სტუმრებს გააცნეს „ლაზარეს“ შექმნის ისტორია. ფონდის საქმიანობის ცნობადობის გაზრდისა და სოციალურად დაუცველი მოზარდების პრობლემებით საზოგადოების დაინტერესების მიზნით საღამოზე მოწვეულნი იყვნენ, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. შედეგად:

- სააქციო საზოგადოება „თელასის“ წარმომადგენელმა საღამოს მსვლელობისთანავე გაახმოვანა კომპანიის გადაწყვეტილება: სახელობო-პროფესიულ სწავლების პროექტში დამატებით სახელოსნოების გახსნისა და მათი მოწყობის დაფინანსების შესახებ;
- „ლაზარეს“ სასწავლო სახელოსნოებში დამზადებული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის შედეგად შემოსული თანხა გადაეცათ ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოზარდებს, დევნილთა ცენტრში მათთვის მოწყობილი სახელოსნოსთვის მასალების შესაძენად;
- საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი ფონდ „ლაზარეს“ სასწავლო სახელოსნოებს ყოველწლიურად დააფინანსებს;
- ასევე შემოთავაზებულ იქნა თანამშრომლობა გერმანული და ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციების EED და IOCC მიერ;

5. ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში 2015-2017წწ.

(HEKS/EPER)

პროექტი- „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“ - პარტნიორი ორგანიზაციები: ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, ა(ა) იპ მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელი, სომხური არასამთავრობო ორგანიზაცია „სიუნიკი“ და საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი, 2007 წლიდან შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაცია HEKS/EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

2015 წელს დაიწყო პროექტის ახალი ფაზა, რომელიც დაეფუძნა გასულ წლებში მიღებულ გამოცდილებას. მნიშვნელოვანი იყო აფხაზი ახალგაზრდების (გალის რაიონიდან) მონაწილეობა საზაფხულო ბანაკში სომეხ, ქართველ და აზერბაიჯანელ მოზარდებთან ერთად, რომლებიც მომავალში შესაძლებელია გახდნენ ხიდი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ასევე აღსანიშნავია, რომ პროექტის საქმიანობა არ შემოიფარგლა მხოლოდ სამშვიდობო ბანაკების მოწყობით, 2015 -2017წლებში იგეგმებოდა და ტარდებოდა სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა: სემინარები კონფლიქტების მოგვარების და ტრანსფორმაციის საკითხებში, ფილმის ჩვენება/ დისკუსიები, ფოტოების/ ნახატების გამოფენები, ფლემ-მოხები, სამშვიდობო აქციები. ამასთან პროექტმა უფრო მეტი აქცენტი გააკეთა ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამისთვის არჩეული ლიდერების შესაძლებლობების და უნარების გამოვლენა-განვითარებაზე. ასევე, მოხდა ფოკუსირება პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ლიდერების გამოცდილების ეფექტურად გამოყენების მიმართულებით.

პროექტის პარტნიორების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, თუ რა ძირითადი შედეგები იქნა მიღწეული:

1. 84-მა ახალგაზრდამ გაიღრმავა ცოდნა ლიდერობასა და ჯგუფური მუშაობის კოორდინირებაში; შეფასების მიხედვით 98% აქვს ხელმძღვანელობის უნარი; 90% შეუძლია ლიდერობა და სემინარების ჩატარება.
2. სამშვიდობო ბანაკებში კონფლიქტის ტრანსფორმაციის ტრენინგებზე მონაწილეობა მიიღო 360 მოზარდმა; 300-ზე მეტი მოზარდი და ახალგაზრდა ლიდერი დაესწრო თავიანთ რეგიონებში და თემებში ჩატარებულ კონფლიქტის ტრანსფორმაციის ტრენინგებს;

3. 707-მა მონაწილემ მიიღო ინფორმაცია განსხვავებული კულტურების შესახებ ბანაკებში გამართულ პრეზენტაციებში, სადამოს ღონისძიებებში; ასევე, ყოველდღიური ურთიერთობის შედეგად მოზარდებს შორის ჩამოყალიბდა ტოლერანტული დამოკიდებულება;

4. ბანაკის მიმდინარეობისას დაიმსხვრა არსებული სტერეოტიპები, შეიქმნა მეგობრული გარემო, პარტნიორული უნარები და გუნდური სულისკვეთება;

ასევე, ტრენინგების ხარისხის გაუმჯობესებისთვის კონფლიქტის მედიაცია-ტრანსფორმაციაში, რომლებიც ტარდება ახალგაზრდა ლიდერების მიერ ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის დროს და საჯარო სკოლებშიც მთელი წლის განმავლობაში, პარტნიორმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს დამატებითი ტრენინგების ჩატარება - „ტრენინგი ტრენერებისთვის“.

პროექტის ძირითადი მიზანია არაპირდაპირი გზით ხელი შეუწყოს ქართულ-აფხაზური და სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტების ტრანსფორმაციას და რეგიონში არსებული ეთნიკური სტერეოტიპების დაძლევის ახალგაზრდების, მედიის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მობილიზების საშუალებით, რათა ჩამოყალიბდეს ერთობლივი სამშვიდობო ხედვა და მიეწოდოს ეს ფართო საზოგადოებას.

„ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“ ხორციელდება ოთხი ორგანიზაციის (საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, სომხური არასამთავრობო ორგანიზაცია „სიუნიკი“, საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი და მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელი) მიერ საშუალო ხანგრძლივობის პერსპექტივით (სამი წლის ვადით). პროექტის ძირითადი ინტერვენციაა შეცვალოს დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის დამოკიდებულება და განავითაროს მშვიდობის მშენებლობის ხედვა. ფოკუსირება ხდება ახალგაზრდა ლიდერებზე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე და სამთავრობო სტრუქტურებზე. მიზნის მისაღწევად ტარდება ისეთი აქტივობები, როგორცაა ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამები, მცირე მასშტაბიანი სამშვიდობო პროექტები, საინფორმაციო სემინარები, ფილმის ჩვენება/დისკუსიები, გამოფენები, აგრეთვე რეგიონებში მრგვალი მაგიდები და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სემინარ/დისკუსიები.

ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა

გაცვლითი პროგრამა ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს შეხვდნენ „სხვებს“, დაანგრიონ სტერეოტიპები და გაეცნონ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების კულტურას. მნიშვნელოვანია, რომ პროექტი საშუალებას აძლევს მათ დაამყარონ პირადი ურთიერთობები, რომელიც მშვიდობის მშენებლობის საფუძველია. ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის პირველი ნაბიჯია მასში მონაწილე ყველა ეთნიკური ჯგუფიდან წარმომადგენლის (ლიდერის) არჩევა (23-29 წლის ასაკის), რომლებსაც სწავლება უტარდებათ გუნდურ მუშაობაზე, კომუნიკაციაზე, ლიდერობაზე და კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე. საზაფხულო ბანაკებში ისინი ხელმძღვანელობენ მოზარდებს (16-18 წლის ასაკის), ხოლო ბანაკის დამთავრების შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ორგანიზებას უწევენ და მონაწილეობენ მცირე მასშტაბიან საქმიანობებში თავიანთ თემებსა თუ სკოლებში. მონაწილეები და ლიდერები წინასწარ ეცნობიან პროექტის მიზანს რათა:

- მოიზიდონ საშვიდობო ინიციატივები ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამის გარეთ;
- ჩართონ უფრო მეტ ახალგაზრდა თავიანთ აქტივობებში;
- შეიმუშაონ ერთიანი ხედვა და შეეცადონ მისი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას;

ახალგაზრდული ქსელი მშვიდობისათვის

ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის მონაწილეებისგან მოხდა იმ კრიტიკული მასის ფორმირება, რომელთა ინიციატივითაც 2015 წელს შეიქმნა ახალგაზრდული ქსელი. მისი მიზანია იმოქმედოს, როგორც ერთიანმა ჯგუფმა, რომელიც ჩაატარებს სამშვიდობო აქტივობებს. ქსელს აქვს საერთო ლოგო, რომელიც განაპირობებს მათი ცნობადობის გაზრდას საზოგადოებაში.

მშვიდობის მშენებლობის ინიციატივები

ახალგაზრდა ლიდერების და სამშვიდობო ბანაკის ყოფილი მონაწილეებისგან (ალუმნები) შემდგარმა ჯგუფმა პროექტის დროს მიღებული ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე :

- ჩაატარეს სესიები კონფლიქტის მედიაციასა და ტრანსფორმაციაში;
- საჯარო სკოლებში ორგანიზება გაუკეთეს მშვიდობის თემაზე შექმნილ ფოტო და ნახატების გამოფენებს;
- მოაწვევს ფილმის ჩვენება სხვადასხვა სახის კონფლიქტებზე, რომლის შემდეგაც გაიმართა დისკუსიები ფილმში წამოჭრილი პრობლემების შესახებ;

წინა წლებში ჩატარებულმა ექსპერიმენტალურმა საქმიანობებმა (სესიები კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, გამოფენები, ფილმის ჩვენება/დისკუსიები) აჩვენეს, რომ ისინი წარმატებით ახერხებენ პროექტის წარმოჩენას და მისი ზეგავლენის გაზრდას. ამ ახალ ეტაპზე (2015-2017წწ.) აზრთა ლიდერებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მეშვეობით ჩატარებულმა სამშვიდობო ინიციატივებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროექტის ხილვადობასა და ლეგიტიმურობაში და მოიცვეს დამატებით აუდიტორიები.

მრგვალი მაგიდები და სემინარ-დისკუსიები

სადისკუსიო სემინარები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, ზუგდიდი, ქუთაისი, ბათუმი და ა.შ), რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი უნივერსიტეტის ის სტუდენტები, ვისაც აინტერესებდათ კონფლიქტის ტრანსფორმაცია და მშვიდობის მშენებლობის საკითხები. ქალაქებში ჩატარებულმა სადისკუსიო სემინარებმა მოგვცა შესაძლებლობა პროექტში ჩართულიყო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი ახალგაზრდები და მოსაზღვრე სოფლის მაცხოვრებლები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ კონფლიქტთან. სემინარებს უძღვებოდნენ მოწვეული ექსპერტები და აზრთა ლიდერები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ ქართულ-აფხაზურ დიალოგებში, საერთაშორისო დონეზე იგივე სტილის შეხვედრების გაძლოლასა და კვლევით საქმიანობებში. შეხვედრებზე ისინი ახდენდნენ კონფლიქტების სიღრმისეულ ანალიზს და მათი მოგვარების შესაძლებლობის დემონსტრირებას. ამ სახის ინფორმაციის მიღება მონაწილეებს დაეხმარება მშვიდობის მშენებლობისა და შერიგების სფეროში ახალი იდეების მოძიებაში, რაც ასევე ხელს შეუწყობს ახალგაზრდული ქსელის გაძლიერებას.

ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის ყოფილმა მონაწილეებმა, რომლებიც არიან მშვიდობის ელჩები რეგიონში, მოამზადეს პრეზენტაციები პროექტის საქმიანობებზე და შედეგებზე: თუ როგორ მუშაობს პროექტი, რამდენად დადებითად მოქმედებს ახალგაზრდა თაობაზე, როგორი ზეგავლენა აქვს მონაწილეთა სტერეოტიპებზე და როგორ ზრდის თანამშრომლობას მათ შორის. ასევე გაიმართა დისკუსიები სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობის საკითხებზე, სადაც სამშვიდობო ბანაკის ყოფილმა მონაწილეებმა მიმოიხილეს დისკუსიაში ჩართული თითოეული სტუდენტის იდეა და ხედვა.

მრგვალი მაგიდები მიზანი, რომლებიც ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ტარდებოდა, იყო კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხზე სადისკუსიო პლატფორმების შექმნა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით. შეხვედრებზე, ბანაკის ლიდერებმა და ალუმნებმა (ყოფილმა მონაწილეებმა), სამშვიდობო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და აზრთა ლიდერებმა განიხილეს და ერთმანეთს გაუზიარეს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის შენების შესაბამისი მიდგომები და მეთოდური რეკომენდაციები, ვრცლად ისაუბრეს ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაზე, როგორც რეგიონში მშვიდობის შენების პროცესის ეფექტური საშუალებაზე.

პროექტის ფინალურ ეტაპზე გაიმართა რეგიონული კონფერენცია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ახალგაზრდების ხმა, მათი სამშვიდობო ხედვა სამთავრობო სტრუქტურებამდე მივიდეს.

2015-2017 წწ. ჩატარებული მრგვალი მაგიდა და სემინარ-დისკუსიები

2015 წელი:

- 16 მაისს, ზუგდიდში, დემოკრატიული ჩართულობის ოფისში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „ახალგაზრდების როლი და ჩართულობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში“. დისკუსიაში მონაწილეობდნენ სამშვიდობო პროცესში ჩართული ახალგაზრდა ექსპერტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები. შეხვედრაზე დამსწრეების მიერ აღინიშნა, თუ რა მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების როლი კონფლიქტის დარეგულირებისა და შერიგების პროცესში;

- 30 სექტემბერს, ახალციხის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე- „ახალგაზრდების როლი და ჩართულობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში,“ რომელშიც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და თბილისიდან მოწვეული ექსპერტები მონაწილეობდნენ;
- ასევე, აღნიშნულთემაზე, 29 სექტემბერს, სემინარ-დისკუსია გაიმართა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც ექსპერტებმა მშვიდობის მშენებლობაზე ახალგაზრდების მოსაზრებები მოისმინეს;
- 18 ოქტომბერს, თბილისში, თავისუფალ უნივერსიტეტში, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო კალანდარიშვილმა ჩაატარა სემინარი თემაზე- „ახალგაზრდების როლი და ჩართულობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში“ , რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები;
- 23 ოქტომბერს, ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ჩატარდა სემინარი-დისკუსია თემაზე: „ახალგაზრდების როლი და ჩართულობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში“ ;
- 24 ოქტომბერს ქუთაისში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელსაც ესწრებოდნენ სამშვიდობო პროცესში ჩართული ექსპერტები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ ისაუბრეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების როლი კონფლიქტების დარეგულირებისა და შერიგების პროცესში. აღნიშნულ შეხვედრებში, ასევე მონაწილეობდნენ ახალგაზრდული გაცვლითი ბანაკების ლიდერები;
- 20 აპრილს, მარნეულში, გაიმართა სემინარ-დისკუსია, სადაც ექსპერტად მოწვეული იყო იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის" თავმჯდომარის მოადგილე მარინა ფოჩხუა, რომელიც კონფლიქტურ საკითხებზე 1996 წლიდან მუშაობს. მარინა ფოჩხუამ, ახალგაზრდებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოსა და აფხაზეთს შორის ომის შემდგომ ვითარებაზე, ქართველებსა და აფხაზებს შორის მოლაპარაკებების პლატფორმების შექმნაზე, ასევე ისაუბრა თუ რა სახის დიალოგია ასეთ სიტუაციაში წარმატებული და რომელი დიალოგი ვერ შედგა;

- 25 აპრილს, მარნეულში ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელზეც ექსპერტებად მიწვეულნი იყვნენ: ქართულ-აფხაზური დიალოგის მონაწილე-გიორგი ჟღენტი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრის თანაშემწე-ლალი დევიძე და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ თავმჯდომარის მოადგილე მარინა ფოჩხუა. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტები. შეხვედრაზე მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს ბოლო 20 წლის განმავლობაში გამართულ სამშვიდობო დიალოგებზე და პროცესებზე, ასევე აღნიშნეს მესამე (ნეიტრალურ) ტერიტორიაზე დიალოგის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ყურადღება გაამახვილეს ქართველებსა და აფხაზებს შორის საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირი დიალოგის მნიშვნელობაზე;

2016 წელი:

- 25 მარტს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორმა, ისტორიკოსმა დავით ჯიშკარიანმა ჩაატარა სემინარი თემაზე: „აფხაზური ნაციონალური იდეა და მისი კონსტრუქცია“, რომელსაც უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის ოცდაათორმეტი სტუდენტი დაესწრო;
- 25 მარტს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარ-დისკუსია, სადაც მომხსენებლად მიწვეული იყო ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორი, ისტორიკოსი დავით ჯიშკარიანი, რომელმაც მიმოიხილა ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ისტორიული ნარატივები, ასევე ქართულ-ოსური კონფლიქტი და რეგიონში არსებული პოლიტიკური სიტუაცია. დისკუსია ძალზედ საინტერესოდ წარიმართა, სადაც მონაწილეების (სტუდენტების) მხრიდან გამოითქვა რამდენიმე ინიციატივა. შეხვედრას ორმოცდაათი სტუდენტი დაესწრო;

- 21 მარტს, მარნეულის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა სემინარი-დისკუსია, სადაც იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა იულია ხარაშვილმა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 (HLAG) შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეზოლუცია ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლების იმ ნაწილს ეხება, რომელსაც ქალები და გოგონები წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია, არსებობდეს მათთვის სპეციალური პროგრამები, რათა ქალები ჩაერთვნენ კონფლიქტის პრევენციაში, ნდობის აღდგენის პროცესსა და მშვიდობის განმტკიცებაში. შეხვედრას ოცდაათი სტუდენტი დაესწრო;
- 20 ივნისს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის წარმომადგენლებსა და ბერგჰოფის ფონდის მიერ სტუდენტებისთვის (დაესწო 20 სტუდენტი) გაიმართა სემინარი- „წარსულის ანალიზი“, რომელსაც შოთა შველიძე - ბერგჰოფის ფონდის ლოკალური კოორდინატორი და ელენე ნათენაძე - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოკუპირებულ რეგიონებში ურთიერთობების დამყარების კოორდინატორი უძღვებოდნენ. შეხვედრაზე, რომლის ძირითადი მიზანი იყო სამშვიდობო პროცესებში ახალგაზრდების აქტიური ჩართვა და მონაწილეობა, სტუდენტებმა მოისმინეს 1990-იან წლებში და 2008 წლის ომების დროს დაზარალებული ადამიანების „ცოცხალი ისტორიები“. ასევე გაიმართა დისკუსია, სადაც მონაწილეების მიერ მოხდა მოსმენილის ანალიზი და საკუთარი ხედვების დაფიქსირება;
- 29 ივნისს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზ „ლიგამუსში“ ჩატარდა სემინარ-დისკუსია თემაზე- „სამშვიდობო ჟურნალისტიკის როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში“, სადაც მომხსენებლად მოწვეული იყო რადიო თავისუფლების გორის ბიუროს ჟურნალისტი, ევროკავშირის მისიის პრიზის ლაურეტი სამშვიდობო ჟურნალისტიკაში - გოგა აფციაური. შეხვედრაზე განიხილეს საინფორმაციო პროპაგანდის გავლენა მშვიდობის მშენებლობის პროცესზე და გახლეჩილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა;
- 30 ივნისს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარი, სადაც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველმა, ქალბატონმა ლალი დევიძემ ისაუბრა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ. შეხვედრას ოცდახუთი სტუდენტი დაესწრო;

- 28 მაისს, მარნეულში ჩატარდა მრგვალი მაგიდა , სადაც მომხსენებლად მიწვეული იყვნენ ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ნინო კალანდარიშვილი, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელი გიორგი სტეფნაძე და არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართლოსის" წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემა იყო ქართული აფხაზური ურთიერთობა, არსებული სიტუაცია და სამომავლო პერსპექტივები;
- 12 ნოემბერს, ახალქალაქში, გაიმართა სემინარ-დისკუსია თემაზე- „ახალგაზრდების როლი და ჩართულობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში“. შეხვედრაზე მომხსენებლებად მიწვეულნი იყვნენ: ისტორიკოსი დავით ჯიშკარიანი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, პილიტიკური ანალიზისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ლალი დევიძე. შეხვედრა ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა;
- 11 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე- „აფხაზური ნაციონალური იდეა და მისი კონსტრუქცია“, შეხვედრაზე მომხსენებლად მოწვეული იყო ისტორიკოსი დავით ჯიშკარიანი.

დასკვნითი კონფერენცია

23 დეკემბერს, სასტუმრო “ამბასადორში”, HEKS/EPER-ისფინანსური მხარდაჭერით, გაიმართა დასკვნითი კონფერენცია თემაზე: -“სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სამშვიდობო პროცესები - არსებული ვითარება და გამოწვევები”.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებმაც იმსჯელეს კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით უკვე გადადგმულ ნაბიჯებსა და არსებულ ვითარებაზე, ზემოქმედების მექანიზმებზე, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საშუალებებსა და შესაძლო პრაქტიკული მიდგომების ჩამოყალიბებაზე.

2017 წელი:

- 2 ივნისს, თბილისში, თამარ მეფის სახ. უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარ-დისკუსია თემაზე: „სამხრეთ კავკასია- არსებული სიტუაცია და გამოწვევები“, სადაც მომხსენებლად მიწვეული იყო ქართულ-აფხაზური დიალოგის მონაწილე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელი. დისკუსიას 40-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო;
- 16 ივნისს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის თავმჯდომარემ, ნინო კალანდარიშვილმა, ჩატარა სემინარი, სადაც მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ მათი დიდი ინტერესის გამო;
27 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარ-დისკუსია;
- 12 დეკემბერს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარი - დისკუსია;
- 7 დეკემბერს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარი-დისკუსია;
- 16 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სემინარი გაიმართა;
- 17 ივნისს, ახალციხის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა მრგვალი მაგიდა;
- 21 ივნისს, ზუგდიდში, შოთა მესხიას სახ. უნივერსიტეტში გაიმართა დისკუსია;
- 16 დეკემბერს, ზუგდიდში მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრის თემა იყო- „კონფლიქტები საქართველოში-არსებული სიტუაცია და გამოწვევები“;
- 25 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარი-დისკუსია;
- 25 ნოემბერს, წყალტუბოში მოეწყო მრგვალი მაგიდა;

- 22 ივნისს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სემინარ-დისკუსია თემაზე: "ახალგაზრდების როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში";
- 23 ივნისს, ბათუმში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრში გაიმართა მრგვალი მაგიდა. დისკუსიის მსველელობისას მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესებში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართვა;
- GIPA კურსი-კონფლიქტების მართვა: სამხრეთ კავკასიის სიტუაციური ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა (GIPA) შვეიცარიული ორგანიზაცია „HEKS/EPPER“-ის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის გამოაცხადა მიღება სასერთიფიკატო კურსზე „კონფლიქტების მართვა: სამხრეთ კავკასიის სიტუაციური ანალიზი“, რომლის მიზანი იყო საფუძვლიანი პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გაზიარება კონფლიქტების არსის შესახებ, კავკასიაში არსებული კონფლიქტების და მათი პოლიტიკურ-სოციალური და ეკონომიკური გავლენის მიმოხილვა. სასწავლო კურსს უძღვებოდნენ ამ თემაზე მომუშავე მოწვეული პრაქტიკოსები, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები და უშუალოდ ამ კონფლიქტების მენეჯმენტში ჩართული ექსპერტები.

წლის დასკვნითი კონფერენცია

26 დეკემბერს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში" კონფერენცია - „სამშვიდობო განათლება, როგორც კონფლიქტის პრევენციისა და ტრანსფორმაციის ერთ - ერთი მექანიზმი" გაიმართა. ღონისძიებას განათლების სფეროსა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე იმსჯელეს, თუ რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს და რა სიახლეები უნდა დაინერგოს განათლების სფეროში. ასევე, გაიმართა კვლევითი დოკუმენტის „რა ვიცით და როგორ ვსწავლობთ კონფლიქტებს“ წარდგინება.

ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლიდერების არჩევა

პროექტისთვის ლიდერების არჩევა 2015-2017 წლებში განხორციელდა ღია კონკურსის მეშვეობით პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით: განაცხადის ფორმაში წარმოდგენილი იყო კითხვები პირად მონაცემებზე, ცოდნაზე, გამოცდილებასა და მოტივაციაზე.

ტრენინგების ორგანიზება

2015-2017 წლებში ჩატარდა ტრენინგები ლიდერობაზე, ფასილიტაციაზე და კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე ახლად არჩეული ლიდერებისთვის. პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მოხდა პროფესიონალური ტრენინგების ჯგუფის ჩამოყალიბება. ლიდერების ტრენინგში, ყოველ წელს მონაწილეობას 28 ლიდერი იღებს.

ტრენინგ-კურსი დამყარებულია არაფორმალურ განათლებაზე: ჯგუფური მუშაობა, სიმულაციური და როლური თამაშები, ინტერაქტიური სავარჯიშოები და ფორუმის თეატრი ანუ შემეცნების მეთოდი.

ტრენინგის მიზანია:

- განუვითაროს მონაწილეებს ლიდერული უნარ-ჩვევები, გამოავლინოს და განავითაროს მათი პოტენციალი;
- განავითაროს ჯგუფური მუშაობის მიდგომა;
- მიაწოდოს მონაწილეებს პროექტის მიზნებისთვის შესაბამისი ცოდნა, რათა წარმატებით გაართვან თავი დაკისრებულ ფუნქციას და ასევე შეძლონ ისინი ჩაერთონ რეგიონალურ პროექტებში, განივითარონ სამუშაო მიდგომა სხვადასხვა წარმომავლობის შერეულ ჯგუფებთან თანამშრომლობით.

ტრენინგის პროგრამის დროს ასევე განიხილება შემდეგი თემები:

ა) საკომუნიკაციო უნარები:

- რა არის ეფექტური კომუნიკაცია, აქტიური მოსმენა, ემოციების მართვა და თავდაჯერებულობა;

ბ) ფასილიტაცია:

- კომფორტული გარემო და სათანადო სივრცე, რომელიც წარმატებული შეხვედრების მნიშვნელოვანი დასაწყისია;
- ჯგუფის დინამიკა დაკავშირებული შეხვედრის სპეციფიკასთან;
- ფასილიტატორი, როგორ პროცესის ხელმძღვანელი;
- ჯგუფის მენეჯმენტის ტექნიკური დეტალები(რთული მონაწილეები, ყურადღების მიზიდვა, ჰიპერაქტიური და პასიური ადამიანები, ბალანსირებული მონაწილეობა და სხვ.);
- რას ვგულისხმობთ კონსენსუსში და რამდენად არის ის მიღწევადი;
- ჯგუფებისადმი დახმარების გაწევა რთული არჩევანის გაკეთებით (პრიორიტიზირება, წყვილების მიერ შაბლონის არჩევა, წოდებრივი კრიტერიუმები, ჯგუფში პრობლემის მოგვარების და გადაწყვეტილების მიღების მეთოდები);

გ) კონფლიქტის ტრანსფორმაცია:

- რა არის კონფლიქტი, მისი წყაროები და ტიპები;
- კონფლიქტის ესკალაციის და სუბიექტური რეალობის ფაქტორები;
- კონსტრუქციული და დესტრუქციული შედეგები;
- კონფლიქტის ესკალაცია და დეესკალაცია;
- დავის ალტერნატიული მოგვარების ძირითადი პრინციპები;
- მედიაციის სტრატეგიები;
- თანამშრომლობა თუ კონკურენცია;
- კონფლიქტის მოგვარების ტრადიციული და ალტერნატიული პროცესები;
- მოლაპარაკების პროცესი;
- პოზიციური გარიგება ინტერესებზე დამყარებული მოლაპარაკებების წინააღმდეგ;
- მედიაციის განსაზღვრა;
- ეფექტური მედიაციის სიტუაციები;
- გაზიარებული ფასეულობების შეფასება;

- ფასეულობის, როგორც ტოლერანტობის, არაძალადობისა და სამართლიანობის განვითარების ხელშეწყობა;

ტრენინგი კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე

ასევე, 2015-2017 წლებში მოხდა კონფლიქტის მოგვარების და ტრანსფორმაციის ოთხდღიანი ტრენინგის ორგანიზება პროექტში მონაწილე 28 ახალგაზრდისთვის (ყოველწლიურად ჩატარებული ლიდერობისა და ფასილიტაციის ტრენინგ-კურსები ლიდერებს საშუალებას აძლევთ პროფესიონალური დონის სესიები ჩაატარონ კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის დროს და მისი დასრულების შემდეგაც). კურსის ფუნდამენტური ხედვა მოიცავდა :

- კარგ ინსტრუქტაჟს
- სადემონსტრაციო ვიდეოებს
- ჯგუფურ დისკუსიებს და შეჯამებას
- ინტერაქტიურ სავარჯიშოებს

პროექტის მონაწილეების შერჩევა

2015-2017 წწ. ისევე, როგორც წინა წლებში თითოეულმა პარტნიორმა ორგანიზაციამ საკუთარი რეგიონიდან თავად აარჩია მონაწილეები (16-18 წლის მოზარდები). პროექტის შესახებ ინფორმაციული პაკეტი გავრცელდა ოფიციალურ საიტებზე, სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა შეხვედრებზე მიზნობრივ სკოლებში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებში. მონაწილეები დაკომპლექტდნენ სპეციალურად დაწერილი განაცხადის ფორმების მეშვეობით. საბოლოო შერჩევა მოხდა პროექტის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ .

სამშვიდობო ბანაკები სომხეთსა და საქართველოში

პროექტის ფარგლებში 2015-2017 წლებში, მოეწყო 60 მონაწილისგან (16-18 წლამდე მოზარდი) შემდგარი სამშვიდობო ბანაკების ორი ნაკადი სომხეთში და საქართველოში, რომელიც 10 დღის განმავლობაში გაგრძელდა. ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა არის სწორედ ის „ნაყოფიერი ნიადაგი“, რომელზეც გაიზრდება იმ მოტივირებული ახალგაზრდა თაობისგან შემდგარი ბირთვი, ვისაც სწამს მშვიდობის და ვინც უზრუნველყოფს მშვიდობის „სულისკვეთების“ გაძლიერებას თავიანთ საზოგადოებებში (თემებში).

სამშვიდობო ბანაკის პროგრამა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა: 1) სესიებს, კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე, დაფუძნებულს არაფორმალურ საგანმანათლებლო მეთოდებზე; 2) კულტურულ სესიებს, რომელიც ახალგაზრდებისთვის ალტერნატიულ და პოზიტიურ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობაა, აგრეთვე ავითარებს პატივისცემა განსხვავებული კულტურულ ფასეულობების და ტრადიციების მიმართ; 3) სპორტულ და ინტელექტუალურ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა გუნდური მუშაობის განვითარებას სხვადასხვა ეროვნების მოზარდებში.

სესიების ორგანიზება კონფლიქტის მედიაციასა და ტრანსფორმაციაზე

კონფლიქტის მედიაციასა და ტრანსფორმაციაზე ჩატარებული სესიები წარმოადგენს ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს. კონფლიქტის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე, ლიდერები საუბრობდნენ ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობაზე, განმარტავდნენ მის არსს და მოჰყავდათ ინფორმაციის არასწორად მიწოდების მაგალითები. შემდეგი საფეხურს წარმოადგენდა კონფლიქტების განხილვა: კონფლიქტური სიტუაციების განსაზღვრა, კლასიფიკაცია, ტიპები, დინამიკა(ფაზები) და ტრანსფორმაცია. აგრეთვე განიხილებოდა სტერეოტიპების მნიშვნელობა; ბოლო საფეხური კი იყო დისკუსიები და მოლაპარაკებების წარმოების უნარ-ჩვევები შესწავლა. აღნიშნული სესიების დეტალური განრიგი და გეგმა შემუშავებული იყო ლიდერების ტრენინგების დროს, ლიდერების ჩართულობით და ტრენინგების დახმარებით.

კულტურული სესიების ორგანიზება

პროექტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრებმა მოზარდებმა შეიძინონ ცოდნა ერთმანეთის კულტურის, ისტორიის, ტრადიციების, ფასეულობებისა და სხვ. შესახებ. სესიებზე მონაწილენი ასრულებდნენ ეროვნულ სიმღერებს, ცეკვებს და სხვ. იმართებოდა მუსიკის გაკვეთილები. აღსანიშნავია, რომ ნაციონალური კულტურის ეს ელემენტები წარმოაჩენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უნიკალურობას, და ამავე დროს აჩვენებს, თუ რამდენი რამ გვაქვს საერთო.

ენის შემსწავლელი მოკლე კურსები (გაკვეთილები)

სამშვიდობო ბანაკში მოზარდების ერთმანეთთან დაახლოების კიდეც ერთი საშუალებაა ენების შესწავლა. ბანაკში შექმნილი იყო ქართული, აფხაზური, აზერბაიჯანული და სომხური ენების შემსწავლელი ჯგუფები, რომელსაც ლიდერები ხელმძღვანელობდნენ, აქ ყველა მონაწილეს ჰქონდა არჩევანის შესაძლებლობა. ბავშვები სწავლობდნენ მოკლე გამონათქვამებს, აუცილებელ სიტყვებსა და ძირითად ფრაზებს.

თემატური სადამოები და ბანაკის დახურვა

ყოველი დღის დასარულს მონაწილეების შერეული ჯგუფების მიერ იმართებოდა წარმოდგენები ეროვნული ტრადიციების და ისტორიის საჩვენებლად. ამდენად, ახალგაზრდების ცოდნა სამხრეთ კავკასიის რეგიონების შესახებ იზრდებოდა და ყალიბდებოდა ტოლერანტული დამოკიდებულება.

ინტელექტუალური, იუმორისტული და სპორტული ღონისძიებები(თამაშები)

ასევე ღია სივრცეში ეწყობოდა მცირე და დიდ მასშტაბიანი თამაშები. ქმედებები, რომლის დროსაც საჭირო ხდებოდა პრობლემების ერთობლივი გადალახვა, რა დროსაც მოზარდებში ვითარდებოდა გუნდური სულისკვეთება, კომუნიკაცია და ერთმანეთთან თანამშრომლობის აუცილებლობა.

ფილმის ჩვენება-დისკუსია

არასამთავრობო ორგანიზაცია „Go Group Media“-თან (ორგანიზაცია მუშაობს სამხრეთ კავკასიაში არსებულ კონფლიქტურ საკითხებზე და მომზადებული აქვს რამდენიმე ფილმი სამშვიდობო თემაზე) თანამშრომლობით, პროექტის კოორდინატორების მიერ ხდებოდა ეთნიკურ კონფლიქტებზე გადაღებული მოკლე ფილმების არჩევა, რომელსაც ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის დროს მონაწილეები უყურებდნენ და განიხილავდნენ.

ფლემ-მობი

ყოველ წელს ხორციელდებოდა ორი ფლემ-მობი სომხეთსა და საქართველოში ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის მონაწილეების შესრულებით და ლიდერების დახმარებით. მათ მიერ ხდებოდა სცენარის შემუშავება, სიმღერის არჩევა და შემდეგ იდგმებოდა ცეკვა. ყოველ ფლემ-მობს ჰქონდა სამშვიდობო მესიჯი და სპეციალური დევიზი, რომელიც ერთ-ერთი საშუალებაა საზოგადოებაში მშვიდობის გზავნილის გასავრცელებლად და პროექტის პოპულარობის გასაზრდელად. ფლემ მობის შესახებ მასალა იტვირთება იუთუბზე.

საგრანტო კონკურსი სამშვიდობო თემაზე შექმნილ მცირე მასშტაბიან პროექტებზე

2015-2017 წლებში, პროექტის ფარგლებში, ფონდის მიერ გამოცხადებული იქნა საგრანტო კონკურსი სამშვიდობო თემაზე შექმნილ მცირე მასშტაბიან პროექტებზე; მასში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ 16-დან 25 წლამდე მოტივირებულ ახალგაზრდებს, რომელთაც ჰქონდათ სურვილი თავიანთი წვლილის შეტანისა კავკასიის რეგიონში მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

კონკურსი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

- სამშვიდობო თემაზე შექმნილი პროექტის იდეის გამოგზავნა;
- საუკეთესო იდეების გამოვლენა;
- ტრენინგის ჩატარება საუკეთესო იდეების ავტორებისთვის: „პროექტის დიზაინი და განაცხადის მომზადება“;
- საპროექტო განაცხადის გამოგზავნა
- საუკეთესო პროექტების შერჩევა და დაფინანსება;

საანგარიშო პერიოდში, პროექტის ოთხივე პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ტარდებოდა ტრენინგი „პროექტის მართვასა და დიზაინში“, რომელშიც დახმარებით ახალგაზრდები დაეუფლნენ პროექტის დაწერისა და ბიუჯეტის დაგეგმვის უნარებს. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ხდებოდა კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენა, რომლებიც HEKS/EPER-ის მიერ ფინანსდებოდა.

2015 -2017 წლებში განხორციელებული მცირე მასშტაბიანი პროექტები

2015 წელი:

- სოფიკო ბაბალაშვილმა სამშვიდობო თემაზე შექმნილი მიკრო პროექტი - „იყავით მშვიდობის ელჩები!“-განახორციელა. პროექტის ფარგლებში სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის საჯარო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე – „კონფლიქტები და მშვიდობა“, ხოლო დასკვნით ეტაპზე, სოფლის ავტობუსების გაჩერება მოხატეს სტრიტ-არტისტებმა დევიზით - „იყავით მშვიდობის ელჩები!“ ღონისძიებების ორგანიზებაში ჩართული იყო სიღნაღის რაიონის მუნიციპალიტეტი და ადგილობრივი ახალგაზრდები;
- გიორგი ოგანესიანმა, მიკრო პროექტის ფარგლებში ორგანიზება გაუწია ბორჯომში კონცერტის ჩატარებას. „ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში!“, - ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავდა ბორჯომში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალიზაციასა და მათი კულტურულ-შემეცნებითი ცნობიერების ამაღლებას. კონცერტში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები და მოწვეული სტუმრები. სადამოხე წარმოდგენილი იყო გრანდიოზული ბანერი, რომელზეც სტუმრები ტოვებდნენ საკუთარ ავტოგრაფებს აფხაზეთში იდაბრუნების ნიშნად (კონცერტის დასრულებისას ბანერი საჩუქრად გადაეცა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს). ასევე ღონისძიებაზე, ჟიურის წევრების მიერ გამოვლენილ იქნა ესეების კონკურსში გამარჯვებულები, რომლებიც ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. სადამო, რომელსაც 300-მდე ადამიანი დაესწრო, „ბორჯომელი მოხალისეებისა“ და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა და გაშუქდა ადგილობრივი მასმედიის საშუალებებით;

- ფონდი „ლაზარეს“ სასწავლო სახელოსნოების მოსწავლეების მიერ მომზადებული მიკრო პროექტის - „მშვიდობა საერთო მომავლისათვის!“ ფარგლებში შეიქმნა მშვიდობის სიმბოლოებიანი სამკაულები აფხაზეთში მცხოვრები თანატოლებისთვის: 15 მძივი გოგონებისთვის და 15 სამაჯური ბიჭებისთვის. 18 დეკემბერს, ბათუმში, აჭარის მთავრობის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, სამკაულების ნაწილი აფხაზ ახალგაზრდებს გადაეცათ, ხოლო ახალგაზრდულ ფორუმზე, აფხაზ პარტნიორებს გაატანეს პროექტის ფარგლებში შექმნილი სამკაულები სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

2016 წელი:

- „მშვიდობა ყველასთვის“ - 17 ნოემბერს, საგრანტო კონკურსის გამარჯვებულმა ხატია კიკნაძემ, სამშვიდობო თემატიკაზე შექმნილი საკუთარი მცირე მასშტაბიანი პროექტი - „მშვიდობა ყველასთვის!“ -განახორციელა, რომლის მიხედვით ახალგაზრდებმა ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიული) პარკში დარგეს ყვავილები და განათავსეს მშვიდობის ლოგო;
- სემინარი- "საერთო წარსული და მომავალი" - 9 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, წმინდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ ჩაატარა სემინარი აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებზე სახელწოდებით- "საერთო წარსული და მომავალი", რომელსაც იძულებით გადაადგილებული პირები (თბილისის 83-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები) ესწრებოდნენ. საუბარი შეეხებოდა აფხაზეთისა და ქართველების საერთო წარსულს, მშვიდობიან თანაცხოვრებასა და მომავლის პერსპექტივას. სემინარის შემდეგ გაიმართა დისკუსია;
- „მშვიდობის მწერლები“ - 18 დეკემბერს, რიყის პარკში გაიმართა მიკრო პროექტი -"მშვიდობის მწერლები" რომლისთვისაც დაიბეჭდა ბუკლეტები, ცნობილი ქართველი მწერლების სპეციალურად პროექტისთვის დაწერილი სამშვიდობო ფრაზებით . ბუკლეტები გავრცელდა საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ.

2017 წელი:

- 18 ნოემბერს, კუს ტბაზე ჩატარდა სამშვიდობო მარათონი, რომელშიც მონაწილეობა 50-მდე ახალგაზრდამ მიიღო. დასარულს გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები და პრიზები;
- 19 ნოემბერს, თბილისში, რიყის პარკში გაიმართა სამშვიდობო აქცია - „დახატე მშვიდობა!“ პარკში განთავსდ ამოღებერტები და სახატავი მასალა, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო მონაწილეობა მიეღო და დაეხატა თავისი ნახატი მშვიდობაზე. აქციამ დიდი ინტერესი და ყურადღება გამოიწვია, განსაკუთრებით პატარების მხრიდან;
- თბილისში ჩატარდა სტუდენტების კონფერენცია-„მშვიდობიანი კავკასია“ - მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხებზე, რომელიც ასევე გაშუქდა საინფორმაციო საშუალებებით;
- -„მშვიდობა ფასდაუდებელია“-ზესტაფონისა და თბილისის მთავარ მაგისტრალზე, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთმანეთთან აკავშირებს, განთავსდა დიდი ბანერი, რომელზეც მოზარდების მიერ მშვიდობის სიმბოლოა დახატული;
- 25 ნოემბერს, კოდის სათემო ცენტრში გაიმართა სემინარი : “ჩემი თვალით დანახული მშვიდობა,” სადაც მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრეინინგი კონფლიქტის მართვაში. ასევე, ისწავლეს თუ როგორ უნდა ააგონ სოციალური თხზულება, რომლის საშუალებითაც შეძლებენ საზოგადოებამდე მიიტანონ თავიანთი გამოცდილება კონფლიქტების კუთხით. ტრეინინგის დასრულებისას მონაწილეებმა თავიანთი თხზულებები ნახატებში კომიქსების სახით გადაიტანეს;
- -„მშვიდობის პორტრეტები!“ - საქართველოში შერეული ეთნიკური ოჯახების შესახებ მომზადდა ინფორმაცია და ფოტოები საზოგადოების ფართო ფენისთვის გასაცნობად;

სესიები, ფილმის ჩვენებები, გამოფენები

2015 წელი:

თბილისის 151-ე, 87-ე და 124-ე საჯარო სკოლებში, გაიმართა სამშვიდობო თემას მიძღვნილი მოსწავლეების ნახატების გამოფენა;

ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში მონაწილე ლიდერებმა თბილისის 151-ე, 87-ე და 124-ე საჯარო სკოლების უფროსი კლასელებისთვის ჩაატარეს ინტერაქტიული სესიები თემაზე: „ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტების მართვა“, მოსწავლეები აქტიურად ერთვებოდნენ ტრენინგის შემდეგ გამართულ დისკუსიაში;

ახალგაზრდული ქსელის წევრების ორგანიზებით მოეწყო ფილმის (ზაზა ურუშაძე - „მანდარინები“) ჩვენება თბილისის 151-ე, 87-ე, 124-ე საჯარო სკოლებში, სადაც სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად მიწვეულნი იყვნენ ახალგაზრდული გაცვლითი ბანაკების მონაწილე ლიდერები, არასამთავრობო და ახალგაზრდული ორგანიზაციები, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სხვა აქტივობები

- 2015 წლის 20 დეკემბერს, თბილისში, კლუბ „ფრონტლაინ ჯორჯიაში“ ახალგაზრდული ქსელის ფორუმი გაიმართა. ფორუმზე ჩამოყალიბდა ქსელის სტრუქტურა, განისაზღვრა მათი ფუნქციები, დეტალურად დაისახა სამომავლო მოქმედების გეგმა და მათი განხორციელების გზები. ახალგაზრდული ქსელის მმართველ ორგანოს ეწოდა "მშვიდობის კომისია" , ასევე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ შეხვედრა წელიწადში ერთხელ გაიმართოს; ქსელის ძირითადი მიზანს წარმოადგენს მშვიდობის დამყარება კოორდინირებული საქმიანობით და მასში, რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდის ჩართვა;
- 2015 წლის 26 დეკემბერს, ქუთაისში, ახალგაზრდული ქსელისა და პედაგოგთა კავშირის - „განათლება და სამყაროს“ ბაზაზე არსებული ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის ერთობლივი ღონისძიება გაიმართა. შეხვედრაზე, ახალგაზრდებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, გაეცნენ ერთმანეთის საქმიანობას. მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო ტრენინგ-სესიაში, დასახეს სამომავლო გეგმები. შეხვედრის ბოლოს, ფონდ „ლაზარეს“ დაპედაგოგთა კავშირ „განათლება და სამყაროს“ ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს;

- 2015 წელს, ახალგაზრდულმა ქსელმა, ფონდის -„გაამწვანე საქართველოს“ - დახმარებით, სამშვიდობო აქციას გაუწი აორგანიზება. ღონისძიების ფარგლებში, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული კოლეჯის სტუდენტების მონაწილეობით, მახათას მთაზე დაირგო ზეთისხილის ხეები და გაჟღერდა სამშვიდობო გზავნილი: „მშვიდობას ვუსურვებთ მსოფლიოს!“
- 2015 წელს, შეიქმნა ვიდეო რგოლი, სადაც ცნობილი ადამიანები (გია ნიკოლაძე, ნინო ბადურაშვილი, ნინო სურგულაძე, მიხელ მესხი, სალომე არშბა , თედო ბექაური) აჟღერებენ მოზარდების მიერ მშვიდობის თემაზე შექმნილ მესიჯებს, რომელიც ნაჩვენებია იყო საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით.

2016 წელი:

- 25 მარტს, წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლაში, კონფლიქტის ტრანსფორმაციის სესია ჩატარდა. პროექტის ფარგლებში შერჩეულმა ლიდერებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია კონფლიქტის ტრანსფორმაციის, სტერეოტიპებისა და ეფექტური კომუნიკაციის შესახებ;
- 29 მარტს, მოეწყო ზაზა ურუშაძის ფილმის- "მანდარინები"- ჩვენება, რომელსაც მოჰყვა საინტერესო დისკუსია კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებზე, შედეგებსა და გადაჭრის გზებზე მოწვეული მოდერატორის დახმარებით;
- 31 მარტს, წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლაში სამშვიდობო თემას მიძღვნილი ნახატების გამოფენა გაიმართა, რომელმაც დიდი ყურადღება და ინტერესი დაიმსახურა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან. გამოფენაში ოცადაორი მოსწავლე (9 ბიჭი და 13 გოგონა) მონაწილეობდა;
- პროექტის ფარგლებში 26 მაისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში გამწვანების სამშვიდობო აქცია ჩატარდა, რომელშიც სამშვიდობო ბანაკის ლიდერები (ხუთი ლიდერი) და ადგილობრივი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ღონისძიების ფარგლებში სართიჭალის კულტურის სახლის ეზოში მოეწყო ბაღი და დაირგო ხეები. ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდა ფლაერები პროექტის საქმიანობის შესახებ.

2017 წელი:

ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში მონაწილე ლიდერებმა თბილისის სამ სკოლაში: №155-ე, ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა და წმინდა ნინოს სახ. სკოლაში კონფლიქტების ტრანსფორმაციის და მედიაციის შესახებ ჩაატარეს სესიები, სადაც განიხილული იყო შემდეგი თემები: ეფექტური კომუნიკაცია, სტერეოტიპები, კონფლიქტების მართვის კონცეფცია და ტრანსფორმაცია. სესიებს სულ 91 მოზარდი დაესწრო. აღნიშნულ სკოლებში მოეწყო გამოფენები მშვიდობის თემაზე და გაიმართა ფილმის „მეზობლების“ ჩვენება .

ყოველ წელს საჯარო სკოლებში ჩატარებული ფილმის ჩვენების შემდეგ მოწვეული მოდერატორის დახმარებით იმართებოდა დისკუსიები მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით. მოზარდები აღნიშნავდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კავკასიაში უზუცესების, განსხვავებული კულტურების, ტრადიციებისა და რელიგიების პატივისცემა; ყოფილი მტრების პატიება, კომუნიკაციის მნიშვნელობა გაუგებრობების, დაპირისპირებისა და კონფრონტაციის გადალახვაში; განსხვავებული ტიპის ადამიანების როლი კონფლიქტის ესკალაციასა და დეესკალაციაში, ფართომასშტაბიანი კონფლიქტების მოგვარებაში პირადი ურთიერთობების როლი და ახალგაზრდების მონაწილეობა ნდობისა და მშვიდობის აღდგენის პროცესში.

პროექტმა „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“, რომელსაც ფონდი „ლაზარე“ HEKS/EPER -ის ფინანსური მხარდაჭერით პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად უკვე 10 წელია ახორციელებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის მეგობრული, ტოლერანტული და კულტურული ურთიერთობის ჩამოყალიბება-გაღრმავებაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წლების განმავლობაში იმ ასობით ახალგაზრდამ, რომელიც პროექტში იღებდა მონაწილეობას, სწორი ინფორმაციული გაცვლის საფუძველზე, საკუთარ საცხოვრებელ გარემოში დაბრუნებისას, განსხვავებული რეალობა დაინახა. პროექტის საქმიანობა აღსანიშნავია იმ თვალსაზრისითაც, რომ მან ხელი შეუწყო ახალგაზრდა თაობის აქტიურ ჩართულობას კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო პროცესებში.

6. სოფლის მეურნეობის პროექტი „ფერმერთა სკოლა“ საგარეჯოში

2014-2016წწ. (HEKS/EPER, საქართველოს საპატრიარქო)

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოფლის მოსახლეობის წინაშე ბევრი გამოწვევა დადგა: რთული სამუშაო და საცხოვრებელი პირობები, სამეურნეო ცოდნისა და სამეწარმეო უნარის დეფიციტი. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელი შეუშალა მრავალმა მიზეზმა და პირველ რიგში ამ დარგში განათლების დეფიციტმა - ნიადაგის არასწორმა დამუშავებამ, თესვის ვადების დარღვევამ, სასუქების და პესტიციდების არასწორმა გამოყენებამ, არასერთიფიცირებული სათესლე მასალის მოხმარებამ. ყოველივე ამან, თავის მხრივ გამოიწვია სოფლის მეურნეობის კულტურების დაბალი მოსავლიანობა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განათლებისა და გადამზადების დახვეწილი სისტემის არსებობა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ფერმერისაგან ცოდნას და განათლებას მოითხოვს, მაგრამ მცირე ფერმერთა უმეტესობას ამაზე ხელი არ მიუწვდება.

ამ მიზნით, 2014 წლის გაზაფხულიდან, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდმა „ლაზარემ“, დაიწყო პროექტი სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სახელწოდებით „ფერმერთა სკოლა კახეთის რეგიონში“, რომელიც შვეიცარიული ორგანიზაცია HEKS/EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს საპატრიარქოს კონტრიბუციებზე დაყრდნობით. პროექტი იყო 2,5 წლიანი და მოიცავდა 2014-2016 წლებს.

პროექტს წინ უძღვოდა კვლევითი სამუშაოები საგარეჯოს რაიონში. ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდა პროექტი ყოფილიყო საგანმანათლებლო მიმართულების მეფუტკრეობასა და მებოსტნეობაში.

პროექტისთვის შერჩეულ იქნა სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული შენობა და მისი მიმდებარე ნაკვეთი, რომლებიც საქართველოს მთავრობამ საკუთრებაში გადასცა საქართველოს საპატრიარქოს, ხოლო საქართველოს საპატრიარქომ თავის მხრივ ის გადასცა საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ პროექტის განსახორციელებლად 20 წლის ვადით. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები: გარემონტდა ოთახები, გამოიცვალა ჭერი, შეკეთდა შენობის ფასადი და შემოიღობა ეზო; მოეწყო თეორიული კლასის და ადმინისტრაციის ოთახი, აშენდა საწყობი, სათბური. „ფერმერთა სკოლას“ ფონდმა საქართველოს საპატრიარქოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემული კომპიუტერები და ავეჯი აჩუქა; დამუშავდა შენობის წინ მდებარე ნაკვეთი მებოსტნეობის პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. მოხდა მასწავლებლების შერჩევა სპეციალობის, ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით; ასევე შეძენილ იქნა ორივე სპეციალობისთვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; თანამედროვე ტექნოლოგიების (წვეთოვანი სარწყავი სისტემის) გამოყენებით მოეწყო სადემონსტრაციო ნაკვეთი მებოსტნეობაში. შეძენილ იქნა ფუტკრის ოჯახები.

ყოველწლიურად, იანვრის თვეში, გასაუბრების საშუალებით ხდებოდა 2 ჯგუფის დაკომპლექტება მეფუტკრის და მებოსტნის სპეციალობაში, (თითოეული ჯგუფი შედგებოდა 20 სტუდენტით). ასაკის შეუზღუდავად განათლება მიიღო 16-დან 60-მდე წლამდე ბენეფიციარმა, ორი სასწავლო წლის მანძილზე კურსდამთავრებულთა რაოდენობამ შეადგინა 70 ადამიანი.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

თითოეული სასწავლო პროგრამა 11 თვიანი იყო. ორივე სპეციალობაზე თეორიული კურსი მიმდინარეობდა პრეზენტაციების მეშვეობით და სანიმუშო ვიდეო მასალის თანხლებით. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდებოდა ტესტირებით და საშინაო დავალების მონიტორინგით; პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები ტარდებოდა პარალელურად; სასწავლო პროგრამის 60%-ს პრაქტიკული მეცადინეობა შეადგენდა.

სასწავლო კურსი, ასევე მოიცავდა ტრენინგებს ფერმის მართვასა და მარკეტინგში, ფაკულტატურ ლექციებს ბიომეურნეობებზე, გარემოსდაცვაზე, მაგ ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობაზე ლექცია ჩატარდა ასოციაცია „ელკანას“ მიერ.

სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა პრაქტიკებს დემო-ფერმებში. სხვადასხვა რეგიონის სოფლის მეურნეობის რესურსცენტრების დახმარებით წინასწარ შერჩეულიქნა 2-3 ფერმა, სადაც მეფუტკრეებმა და მემცენარეებმა გაიარეს პრაქტიკები. დემო-ფერმერთან გაფორმდა ხელშეკრულებები, ყოველწლიურად, გეგმის მიხედვით, ივნისის თვეში, მეფუტკრეები მიემგზავრებოდნენ ივრის ხეობაში-საფუტკრეში, სადაც შერჩეული ფერმერი ამთაბარებდა 60-მდე ფუტკრის ოჯახს; სტუდენტები მონაწილეობდნენ ფუტკრის დედის რძის აღებაში. მეზოსტნეობის სტუდენტებს გასვლა ჰქონდათ მარნეულში, მოინახულეს ორი ფერმა: 1. ღია და დახურული გრუნტი (სათბურები), სადაც მოჰყავდათ სხვადასხვა ბოსტნეული კულტურები; 2. ნახეს,თუ როგორ იყენებდნენ ხელოვნურ დამტვერიანებისთვის სპეციალურ ფუტკარს; დაათვალიერეს მარნეულის ბოსტნეულის საკონსერვო ქარხანა, სადაც ბენეფიციარებმა იხილეს მთლიანიპროცესი – „მინდვრიდან–ქილაში“(პროდუქციის მიღება, რეცხვა, გადარჩევა, დაკალიბრება, დაკონსერვება, შეფუთვა).

სასწავლო გასვლა კაჭრეთში

სასწავლო-შემეცნებითი მიზნით სტუდენტები ყოველწლიურად სტუმრობდნენ კაჭრეთში მდებარე პროფესიულ კოლეჯ “აისს“ , ეცნობოდნენ მათ ნაკვეთებს, საწარმოებს, სადაც ხდებოდა პროდუქციის გადამუშავება.

სასწავლო გასვლა წილკანში

ყოველწლიურად სასწავლო გასვლები ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის სამეცნირო კვლევითი ცენტრის ბაზაზე- წილკანში, სადაც სტუდენტები ეცნობოდნენ ბოსტნეულის სათესლე მასალის ეროვნული ცენტრის საქმიანობას, რომელიც თანამედროვე ტიპის ლაბორატორიული და სასათბურე საშუალებებით არის აღჭურვილი.

შეხვედრები ბაზრის მოთამაშეებთან

პროექტისმიხედვით, მოხდა „ფერმერთა სკოლის“ კურსდამთავრებულების ბაზრის მოთამაშეებთან დაკავშირება(კერძო საბითუმო მოვაჭრეები, მსხვილი სავაჭრო კომპანიები და სხვ.), რათა შესაძლებელი ყოფილიყო ფერმერების პროდუქციის მიღება და რეალიზაცია.

შეხვედრა მთავრობასთან

2014 -2016 წლებში, პროექტის ფარგლებში, ფონდ „ლაზარეს“ ჰქონდა შეხვედრები საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი საკონსულტაციო ოცენტრი, საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი). ეწყობოდა პროექტის პრეზენტაცია, რომლის დროსაც იკვეთებოდა მომავალი თანამშრომლობის გზები, იმართებოდა დისკუსიები; ჩნდებოდა საინტერესო წინადადებები, რაც პროექტის მდგრადობასა და განვითარებას უწყობდა ხელს.

კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა, „ფერმერთა სკოლას“ მისცა რეკომენდაცია ბენეფიციარებს პროექტის ფარგლებში შეესწავლათ ბიზნეს-პროექტების შედგენის მეთოდოლოგია (განაცხადების შევსება, ბიუჯეტის შედგენა, პროექტის დაწერის მეთოდოლოგია). ფონდი „ლაზარე“ დაუკავშირდა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, რომელმაც მსგავსი შინაარსის ტრენინგების ჩატარება უზრუნველყო; შედეგად ფერმერებს მიეცათ სხვადასხვა პროგრამებსა და საგრანტო კონკურსებში ჩართვის დამონაწილეობის საშუალება.

ასევე, გაიმართა შეხვედრა განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან, „ფერმერთა სკოლის“ ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელთა რჩევებიც გათვალისწინებულ იქნა მომავალში პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლის“ დაარსების დროს.

პროექტის მუშა ჯგუფი მუდმივად ესწრებოდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს ახალი სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით.

შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან

პროექტის მიმდინარეობისას, ფონდი „ლაზარე“, გამოცდილების, ინფორმაციის გაზიარებისა და შემდგომი ურთიერთანამშრომლობის მიზნით აწყობდა შეხვედრებს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც „ფერმერთა სკოლის“ მსგავს პროექტებს ახორციელებენ.

შეხვედრა USD EPI და UNDP -ის წარმომადგენელთან, განხილული იყო შესაძლო თანამშრომლობის საკითხები; შედეგად შესაძლებელი გახდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მათი ჩართვა UNDP-ის სასწავლო ტრენინგებში.

უნდა აღინიშნოს , რომ საქართველოს საპატრიარქოს აგრო ბიზნესის ინოვაციური ცენტრი თეთრწყაროში ახორციელებდა პროექტს „გახდი ფერმერი“, რომელსაც სილაბუსების და პროგრამის შედგენაში „ფერმერთა სკოლამ“ გაუწია დახმარება.

კოოპერატივის შექმნა

სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების შექმნა და მისი პოპულარიზაცია ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის ერთ–ერთი რეკომენდაციაა. ამ მიზნით „ფერმერთა სკოლამ“ დიდი მუშაობა გასწია: გაესაუბრა ბენეფიციარებს, მოიწვია საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლები, რომლებმაც ამომწურავი ინფორმაცია გააკეთეს ამ თემაზე და აღნიშნეს, რომ კოოპერატივში ყველაზე მთავარი პრინციპი დემოკრატიული მმართველობაა. შედეგად მეფუტკრეების ჯგუფის რამდენიმე სტუდენტი გაერთიანდა კოოპერატივში და 2015 წლის მარტში, ხუთმა მეფუტკრემ დაარეგისტრირა კოოპერატივი “ნექტარი“, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია მათი ბიზნესის განვითარებაში.

პუბლიკაციები

პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახელმძღვანელო მებოსტნეობაში (ტირაჟი 150 ცალი), რომელიც შედგენილია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიმართულების კოლეჯების სტუდენტებისა და ფერმერებისათვის; მასში განხილულია ბოსტნის კულტურების ბიოლოგიური თავისებურებები, მოყვანის აგრო ტექნოლოგიები საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

გამოცდილების გაზიარება სომეხ კოლეგებთან

2015 19 დეკემბერს, ნინოწმინდის „ფერმერთა სკოლას“, გამოცდილების გაზიარების მიზნით იჯევანიდან სომეხი მეფუტკრეები ეწვივნენ. მათი ჩამოსვლის იდეა დაიბადა HEKS/ EPER-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე, ქალბატონ კარინე ბაგდასარიანისა (სომხეთის ეკლესიათა შორის მრგვალი მაგიდის საქველმოქმედო ფონდის პროგრამის ოფიცერი) და „ფერმერთა სკოლის“ მენეჯერის შეხვედრის დროს. სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლა, მოისმინეს ლექცია ფუტკრის რძის მიღების ტექნოლოგიაზე, მეფუტკრეობის პედაგოგმა და „ფერმერთა სკოლის“ სტუდენტებმა აუხსნეს და უჩვენეს სპეციალური ინვენტარი და მისი მოხმარების წესები. შემდეგ სტუმრები „ფერმერთა სკოლის“ წარმომადგენლებთან ერთად გაემგზავრნენ მუხრანში დემო ფერმერ თემურ ბურდულთან, რომელმაც გააცნო სომეხკოლეგებს საკუთარი მიღწევები. სტუმრები ვიზიტით კმაყოფილები დარჩნენ.

მიღწეული შედეგები

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მოცემულ პროექტში მონაწილეობა მიიღო 70 ბენეფიციარმა. პროექტის დასრულების შემდეგ კი ჩატარდა კვლევა, გამოიკითხა 30 კურსდამთავრებული, რომლის მიხედვით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

გამოკითხულთა უმეტესობას (90%) აქვს მეურნეობა - მიწის ნაკვეთი ან ფუტკრის ოჯახები, ან ორივე ერთად;

გამოკითხულთა 84% აწარმოებს ახალ კულტურებს ან თაფლს;

გამოკითხულთა 70% გაეზარდა შემოსავლები, დანარჩენი 14% არ ახდენს პროდუქციის რეალიზაციას და გამოიყენებს ოჯახში

მაჩვენებლები იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ პროექტმა „ფერმერთა სკოლა“ წარმატებით იმუშავა, ამასთან უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2016 წელს HEKS/ EPER-ის სწარმომადგენლებმა ნინოწმინდის „ფერმერთა სკოლაში“ სამუშაო შეხვედრაზე, გაეცნენ რა პროექტის მიღწევებს, განაცხადეს- „ფერმერთა სკოლა“ წარმატებული პროექტია“.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი კვლევა ჩატარა საქართველოს საპატრიარქომ ვიდრე მიიღებდა გადაწყვეტილებას, უკვე ავტორიზებული კოლეჯის სტატუსში ორგანიზაციის დაფინანსების თაობაზე.

საპილოტე პროექტი „ფერმერთა სკოლა საგარეჯოში“ 2016 წლის ბოლოს დასრულდა, მაგრამ „ლაზარემ“ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ რეგიონში პროექტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, ამიტომ მისი მდგრადობისა და მომავალი განვითარებისთვის „ფერმერთა სკოლის“ ბაზაზე დააფუძნა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ფერმერთა სკოლა“, სადაც 2016 წლიდან დღემდე სწავლის მსურველებს შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიებს სოფლის მეურნეობაში. კოლეჯში სწავლა სრულიად უფასოა და დაფინანსებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ.

პროფესიული კოლეჯის „ფერმერთა სკოლის“ დაარსება და ავტორიზაცია

კოლეჯი „ფერმერთა სკოლა“ დარეგისტრირდა საჯარო რეეტრში 2015 წელს და დაიწყო ავტორიზაციაზე მუშაობა. იმისთვის, რომ კოლეჯს ავტორიზებული სტატუსი მიეღო, რაც შესაბამის დოკუმენტაციებს მოითხოვდა. განხორციელდა კოლეჯისთვის არსებული შენობის, ტერიტორიის და სხვა ქონების გადაცემა უზურფრუქტით. დამტკიცდა მომავალი ბიუჯეტი და საშტატო განრიგი. შემუშავდა ისეთი აუცილებელი დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ დაწესებულების საქმიანობას: კოლეჯის დებულება, წესდება, შინაგანაწესი, საქმისწარმოების ზოგადი წესი, განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა 2021 წლის ჩათვლით და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს გასატარებელი აქტივობების ჩამონათვალს, შესრულების ვადებს, ძლიერ და სუსტმხარეებს, შესაძლებლობებს და მოსალოდნელ საფრთხეებს. დაწესებულებას, ასევე აქვს ეთიკის კოდექსი, საქმისწარმოების წესი, ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები.

დაიდო ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მემორანდუმი. შეიქმნა ელექტრო ბიბლიოთეკა, კოლეჯის ვებგვერდი - www.farmersschool.ge და ელექტრონული ფოსტა- farmer.school@yahoo.com

საქართველოს განათლების სტანდარტის მიხედვით მოხდა „მეზოსტნის“ პროგრამის შემუშავება. მომზადდა 11 სილაბუსი, მათ შორის ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინგლისურენაში; შერჩეულ იქნა მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები; დაინიშნა დირექტორი; დაიდო ახალი ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან: სს „თელასთან“, „სოკართან“, სახანძრო და დაცვის სამსახურებთან. მომზადდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. აშენდა საწყობი, საპირფარეშო, სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების ინვენტარით და მედიკამენტებით. დაწესებულებაში დასაქმებულია მედდა. მოეწყო ადმინისტრაციის ოთახი, შეძენილ იქნა დამატებით ავეჯი და ტექნიკა, მოხდა ინტერნეტის გაყვანა, მოეწყო ბიბლიოთეკა;

საბიბლიოთე კოფონდი აღირიცხა, როგორც ბეჭდურ კატალოგში, ისე ელექტრონულ სამიუზიუმ სისტემაში, რომელიც განთავსებულია სასწავლებლის ვებ-გვერდზე და სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის თავისუფალი წვდომის საშუალებას იძლევა; ბიბლიოთეკაში არის მკითხველის ბარათები, საინვენტარო წიგნები. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (კომპიუტერები, პრინტერი, სკანერი).

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილია დაცვის სამსახურის სახით, რომელიც მოქმედებს დაწესებულების შინაგანაწესის, დებულების და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად. არსებობს გარე პერიმეტრის დაცვის სათვალთვალო სისტემა.

„ფერმერთა სკოლას“ შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პროგრამის განხორციელების პროცესში თითოეული სასწავლო კურსის შეფასება, სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასება, სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის მიმართ კმაყოფილების დადგენა, შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცი ისანალიზი, შედეგად პრობლემის იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა. დაწესებულებაში შემუშავებულია სხვადასხვა სახის შეფასების კითხვარი: სტუდენტთა, მასწავლებელთა. დაგეგმილია ადმინისტრაციის პერსონალთა შეფასება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სტუდენტები, ისე დაწესებულების სხვა წევრებიც.

დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, ხანძარ საწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარ საწინააღმდეგო ინვენტარი; თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა; გამოყოფილია სპეციალური პერსონალი, რომელთა ხელშეკრულებაში გაწერილია საგანგებო სიტუაციებში მათი ფუნქციონირების მოვალეობები.

განაცხადი ავტორიზაციაზე 2015 წლის ნოემბერში გაკეთდა. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების ნინოწმინდაში ვიზიტის და მათ მიერ „ფერმერთა სკოლის“ მონიტორინგის შემდეგ, „ფერმერთა სკოლამ“ წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცესი და საბჭოს გადაწყვეტილებით მიიღო პროფესიული კოლეჯის სტატუსი, რაც ნიშნავს იმას, რომ „ფერმერთა სკოლას“ აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება. კოლეჯში მიღებული ცოდნა დიდი ნაბიჯია აკადემიური პროგრამების დაძლევისა და შემდგომი კარიერის შექმნის გზაზე.

2016-17 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით განხორციელებული აქტივობები

სასწავლო პროცესი

2016 წლის 1 თებერვალს, პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლაში“ გასაუბრების შედეგად მებოსტნის პროფესიული პროგრამის მეორე საფეხურზე ჩაირიცხა შვიდი სტუდენტი, ხოლო 2017 წელს რვა სტუდენტი. სასწავლო კურსის მსვლელობის პერიოდში სტუდენტებმა გაიარეს შემდეგი საგნები: ბოტანიკა, მებოსტნეობის ზოგადი ნაწილი, დახურული გრუნტი მებოსტნეობაში, ინგლისური ენა და ინფორმაციული ტექნოლოგიები.

2016 წლის 5 მაისს, მებოსტნის მეორე საფეხურის კვალიფიკაცია მიენიჭა ხუთ სტუდენტს, ხოლო 2017 წელს რვა სტუდენტს.

2016 წლის აპრილში, „ფერმერთა სკოლაში“ მებოსტნის პროფესიული პროგრამის მესამე საფეხურზე ჩაირიცხა სამი პროფესიული სტუდენტი. 2017 წლის 16 მაისს, მებოსტნის პროფესიული პროგრამის III საფეხურზე ჩაირიცხა „ფერმერთა სკოლის“ მებოსტნის II საფეხურის კურსდამთავრებული რვა პროფესიული სტუდენტი.

2016 წელს, მებოსტნის III საფეხურის კვალიფიკაცია მიენიჭა სამ სტუდენტს, 2017 წელს - შვიდ პროფესიულ სტუდენტს.

2016 წლის 15 თებერვალს, „ფერმერთა სკოლაში“ მეფუტკრის სასერტიფიკატო კურსზე სწავლა დაიწყო თერთმეტმა სტუდენტმა. ბრძანების საფუძველზე დაემატა კიდე სამი სტუდენტი, აქედან სერთიფიკატი აიღო რვა სტუდენტმა.

2017 წლის 13 თებერვალს, „ფერმერთა სკოლაში“ მეფუტკრის სასერტიფიკატო კურსზე სწავლა დაიწყო ცხრამეტმა სტუდენტმა, სერთიფიკატი აიღო რვა სტუდენტმა.

სხვა აქტივობები:

- უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრთან კოლეჯის წვდომა და მართვა, სადაც წლის მანძილზე რეგულარულად ხდებოდა საგანმანათლებლო პროგრამებზე, პერსონალზე, პროფესიულ სტუდენტებზე ინფორმაციის შეყვანა და განახლება ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

- გარდა ხარისხის მექანიზმების განხორციელებისა, „ფერმერთა სკოლამ“ პროფესიონალიზმის საჭიროებებზე იმუშავა, რაც გულისხმობს მათ გარე აქტივობებში ჩართვას. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მოიპოვა ინფორმაცია ჩინეთში (ჩანგშა, ჰუნანი) 2016 წლის აგვისტოში მიმდინარე ტრენინგზე სოფლის მეურნეობაში, სადაც „მეზოსტნის“ პროგრამის სპეციალობის მასწავლებელმა გაიარა სასწავლო-კურსი, რომელიც ეხებოდა „სათბურებში ბოსტნეულის მოყვანის ტექნოლოგიებს“;

- 2016 წლის 11 მარტს, კოლეჯს ეწვია დონორი ორგანიზაცია HEKS/EPER-ის წარმომადგენლები. სტუმრებმა შევიცარიიდან, დაათვალიერეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა, გაეცნენ პროექტის მიღწევებს, გაესაუბრნენ სტუდენტებს და კოლეჯის პერსონალს;

- 2016 წლის 17 მარტს, კოლეჯში სტუმრად იმყოფებოდა ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი იუვალ ფუქსი, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია პროფესიული კოლეჯის შექმნისა და მისი წარმატებული საქმიანობის შესახებ, ასევე დაათვალიერა „ფერმერთა სკოლის“ ინფრასტრუქტურა და მეურნეობა;

- 2016 წლის 18 ივნისს, „ფერმერთა სკოლას“ ეწვია შვეიცარული ორგანიზაცია HEKS/EPER-ის წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრაზე ანგარიშის სახით დეტალურად იყო წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის პროექტის ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები და მათი შედეგები;

- 2016 წლის 13 სექტემბერს, კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის 50-ე წლის საიუბილეო გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო „ფერმერთა სკოლის“ პროდუქცია- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი-თაფლი.

2017 წ. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა-განხორციელება

გადატვირთული სალექციო ცხრილის გამო (185 საათი, 7-8 საათი დღეში), 2017 წლის სასწავლო კურსის ხანგრძლივობა გაიზარდა, ხოლო საათების რაოდენობა (35 კრედიტი 875 საათი) დარჩა იგივე.

- მეზოსტნის მეორე საფეხური - ორთვენახევრიანი სწავლის ხანგრძლივობა გახდა სამ თვიანი.

- მეზოსტნის მესამე საფეხური - სამთვენახევრიანი სწავლის ხანგრძლივობა გახდა ხუთთვიანი.

2017 წ. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების დამუშავება და გასაუმჯობესებელი აქტივობების განხორციელება. აქტივობები შესრულდა იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებები გამოვლინდა.

კოლეჯში, სასწავლო კურსის დასაწყისსა და დასასრულს, პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებულ იქნა შეფასების კითხვარები, რომელიც მოიცავს: პროგრამის განხორციელების პროცესში მასწავლებლისა და სასწავლო კურსის შეფასებას. კვლევის ანალიზის მიხედვით სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს: პედაგოგის დამოკიდებულება თითოეული პროფესიული სტუდენტის მიმართ, სასწავლო მასალის მიწოდება, შეფასების სისტემა, პედაგოგების კვალიფიკაცია, სწავლების მეთოდები, კოლეჯის ბიბლიოთეკა, ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციის მომსახურეობა.

ტრენინგ- კურსები

- 2017 წლის 17 მაისს, პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლაში“ ჩატარდა ტრენინგი ბოსტნეულის მცნობის ახალ ტექნოლოგიაზე. აღნიშნული მცნობის ტექნოლოგიების ათვისება უმნიშვნელოვანესია ბოსტნეულის მწარმოებელი ფერმერებისათვის, რაც უშუალოდ მავნებელ დაავადებებთან ბრძოლაზე და პროდუქტიულობის ზრდაზე აისახება.

- 2017 წლის 29 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით, პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლამ, ქალაქ რუსთავში, მიავლინა კოლეჯის წარმატებული სტუდენტი მარიამ თამაზაშვილი, რომელმაც გაიარა ტრენინგი თემაზე: „სასათბურე ბოსტნეულის წარმოება“. ტრენინგი ჩინურმა კომპანია „ჰუნანმა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა ჩაატარა.

2017 წელს პროფესიულ კოლეჯს სტუმრად ეწვია ჟურნალისტი მალხაზ ონიანი. მან მოამზადა სტატია „ფერმერთა სკოლაზე“, რომელიც დაიბეჭდა ისრაელისა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ ჟურნალში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2017 წლის 27 ოქტომბერს, პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ღონისძიებაზე, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ფერმერებს უმასპინძლა, მიწვეულ სტუმრებს შორის „ფერმერთა სკოლის“ კურსდამთავრებული 15 წლის კახი მშვიდლობაძე იყო, რომელიც საოჯახო, შერეულ ფერმაში აქტიურად მუშაობს. იგი ერთ-ერთი იყო იმ სამ მცირეწლოვან ფერმერს შორის, რომელთა მიმართ ინტერესი და გულთბილი დამოკიდებულება პრეზიდენტმა განსაკუთრებით გამოხატა.

დაწესებულების ყოველწლიური ადმინისტრაციული სამუშაოები: თვითშეფასების მომზადება,სარეკლამო აქტივობები, ვებ-გვერდის უწყვეტი ადმინისტრირება, რეესტრის წარმოება, გამოცემული აქტების წარმოება

- 2016-2017 წლის აპრილში, დაწესებულების ადმინისტრაციამ იმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიურ ანგარიშზე. 2 მაისს, დადგენილი წესით მომზადებული თვითშეფასების კითხვარი, წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მომზადდა თვითშეფასების ანკეტაში შესატანი სასწავლო პროცესის ხარისხისთვის განკუთვნილი ინფორმაცია. კერძოდ: სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა თითოეულ პროგრამაზე, მებოსტნეობა II და III საფეხურების პროგრამების აღწერა, სილაბუსების აღწერა, პედაგოგების კვალიფიკაციის აღწერა, სასწავლო პროცესში საჭირო ცვლილებების აღწერა,საჭირო ლიტერატურის არსებობა, ანონიმური გამოკითხვის ანალიზის დასკვნა, სტუდენტების კვალიფიკაციის მინიჭება(რაოდენობა);

- გამოცემული აქტების საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის ელექტრონულ მონაცემებში, გონივრულ ვადებში იქნა ასახული სხვადასხვა ინფორმაცია (პროგრამების, პედაგოგების, პერსონალის, სტუდენტების) კოლეჯის შესახებ.

მატერიალურ- ტექნიკური ბაზის ანალიზი

ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლაში“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე 2015-2017 წლებში ჩატარდა ინვენტარიზაცია: ადგილზე შემოწმდა და აღირიცხა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

დაწესებულებაში არსებული ინვენტარი სრულ შესაბამისობაშია მის ფაქტიურ მდგომარეობასთან და ბუღალტრულ აღრიცხვასთან.

სარეკლამო აქტივობები

- 2017 წ. დაწესებულებაში სასწავლო პროცესების პოპულარიზაციისა და აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით „ფერმერთა სკოლამ“ დაბეჭდა ბუკლეტები, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციულ მახასიათებლებს პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლის“ შესახებ;

- ვინაიდან, აბიტურიენტებს ნაკლებად აქვთ პროფესიულ სასწავლებლებსა და მათ საქმიანობებზე ამომწურავი ინფორმაცია და არ იცნობენ მათ საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, მიმართულებასა და ინფრასტრუქტურას, „საერთაშორისო დემოკრატიული განვითარების ცენტრმა“ „ფერმერთა სკოლასთან“ ერთად გამოსცა აბიტურიენტთა გზამკვლევი, რომელიც გავრცელდა უსასყიდლოდ. გზამკვლევში დიდი ადგილი დაეთმო პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლის“ საქმიანობას, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ინფორმაციას ინფრასტრუქტურისა და ზოგადი მდგომარეობის შესახებ;
- „ფერმერთა სკოლის“ ვებ-გვერდზე (www.farmersschool.ge) რეგულარულად ხდება სიახლეების ატვირთვა კოლეჯის შესახებ;
- ელექტრონულ ფოსტა (farmer.school@yahoo.com) ყოველდღიურად მოწმდება და ხდება პასუხის გაცემა მიღებულ წერილებზე.

ფონდ „ლაზარეს“ მიერ განხორციელებული პროექტი პროფესიული კოლეჯი „ფერმერთა სკოლა“ (მისი ფილიალი სართიჭალაში) დღემდე წარმატებით ხორციელდება და საკმაოდ დიდი მოთხოვნა აქვს ადგილობრივ მოსახლეობაში. პროექტის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მცირე ფერმერებმა შეძლეს საკუთარი შემოსავლების გაზრდა და ცხოვრების გაუმჯობესება.

7. პროექტი სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები 2015 წ. (სს „თელასი“)

2015 წელს „ლაზარემ“, სს „თელასის“ ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიები“. თავდაპირველად ფონდი დაუკავშირდა საჯარო სკოლების ადმინისტრაციებს, გააცნო პროექტის შინაარსი (ლა) მათთან შეთანხმებით შეიმუშავა საექსკურსიო მარშრუტები. სასწავლო შემეცნებით ვიზიტამდე ყველა სკოლის პედაგოგმა მოსწავლეებს გააცნო დაგეგმილი ღონისძიებების მიმართულება და მათთან ერთად წინასწარ განსაზღვრა ვიზიტის დროს ჩასატარებელი აქტივობები. თითოეული ვიზიტისთვის შეძენილი იქნა საკვები, პირველადი სამედიცინო მოხმარების მედიკამენტები და გამოიყო სამედიცინო პერსონალი.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა გასვლითმა ღონისძიებებმა, ისტორიული ძეგლებისა და სახლ-მუზეუმების მონახულებამ, მოსწავლეებს დიდი საგანმანათლებლო გამოცდილება შესძინა; კლასგარეშე განათლება, რომელიც მოსწავლემ არაფორმალურ გარემოში მიღო, მნიშვნელოვანია მისი სოციალური და კვლევითი უნარების განვითარებისთვის, ამგვარ ექსკურსიებს შეიძლება ეწოდოს სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები, რომელსაც საგანმანათლებლო დატვირთვა ენიჭება.

პროექტის მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთდღიანი ვიზიტების მოწყობით ექსკურსიებს უფრო მეტი ფუნქცია მინიჭებოდათ, რომელსაც უბრალოდ გასართობ-სალაღობო დატვირთვა კი არ ექნებოდა, არამედ მისი საშუალებით სკოლის მოსწავლეებს მიეცემოდათ შესაძლებლობა არაფორმალურ გარემოში აქტიურობისათვის ცოდნა და განვითარებისათვის უნარ-ჩვევები. აღნიშნულ პროექტში, რომელიც 2015 წლის ივნისში დაიწყო და 2015 წლის დეკემბერში დასრულდა, მონაწილეობა 150 მოსწავლემ მიიღო:

- 12 ივნისი, 2015 წელი- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი. გასვლითი ტური: უბისის მონასტერი, გელათის სამონასტრო კომპლექსი, მოწამეთა და პრომეთეს მღვიმე;
- 3 ოქტომბერი, 2015 წელი- მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანის მე-3 საჯარო სკოლა. გასვლითი ტური: უფლისციხე, ატენის სიონი,სამთავისისა და ყინწისის სამონასტრო კომპლექსები;
- 31 ოქტომბერი, 2015 წელი- წმ.ეკვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის გიმნაზია. გასვლითი ტური: მოწამეთა, გელათის სამონასტრო კომპლექსი და ბაგრატის ტაძარი;
- 14 ნოემბერი, 2015 წელი- საქართველოს საპატრიარქოს წმ. ილია მართლის სახელობის სკოლა. გასვლითი ტური: ისტორიული მნიშვნელობითა და საინტერესო არქიტექტურით გამორჩეული დავით გარეჯის მონასტერი;
- 5 დეკემბერი, 2015 წელი- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი. გასვლითი ტური: ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლე წინანდალში, ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერი და ალავერდის ტაძარი.

8. საქველმოქმედო სტატუსის მინიჭება 2015 წ.

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდმა „ლაზარემ“, 2015 წელს განცხადებით მიმართა შემოსავლების სამსახურს, საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების თაობაზე. სამსახურის მოთხოვნით, ფონდის მიერ შესაბამის ორგანოში დაწესებულების მიერ წარდგენილი იქნა საქმიანობის აღწერა და ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის ამსახველი აუდიტორული დასკვნა. დოკუმენტაციის გადამოწმებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ ფონდს უვადოდ მიენიჭა საქველმოქმედო სტატუსი.

9. ფონდ „ლაზარეს“ მონაწილეობა საერთაშორისო საქველმოქმედო

ღონისძიებებში ავსტრიაში და ჩეხეთში (2015-2017წწ.)

2015 წელს, ფონდს დაუკავშირდა გაეროს წარმომადგენლობა საქართველოსა და ავსტრიაში და ქალაქ ვენაში, გაეროს ქალთა გილდიის ყოველწლიურ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაზე მიიწვია (UNWG International Festival -Charity Bazaar).

2015-16 წლებში, საქველმოქმედო გამოფენაზე „ლაზარემ“ წარმოადგინა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული კოლეჯის სტუდენტებისა და სახელობო-პროფესიული სწავლების პროექტის ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარების მიერ მინანქრისგან დამზადებული ქართული ორნამენტებით შემკული სამკაულები, თექისგან შექმნილი ნივთები და სხვ.

2017 წელს, კი ფონდი აღნიშნულ ღონისძიებაზე, ავსტრიაში საქართველოს საელჩოს მიწვევით იმყოფებოდა. საელჩოს კოორდინაციით, საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო ქართული ეროვნული ტანსაცმლის აქსესუარები, თექისგან შესრულებული ხელნაკეთი ნივთები, სუვენირები, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის მიწოდებული სარეკლამო მასალა და „ლაზარეს“ მიერ დაფუძნებული „ახალი პროფესიული კოლეჯის“ სტუდენტების მიერ შექმნილი საიუველირო ნაკეთობები.

ვენაში, საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა 50 წელია, რაც იმართება და მასში 100-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს. ქველმოქმედებიდან შემოსული თანხის ნაწილი გაეროს ბავშვთა ფონდში ირიცხება, რომელშიც თავისი მცირე წვლილი ფონდ „ლაზარეს“ უკვე სამი წელია შეაქვს.

2016 წლის დეკემბერში, „ლაზარე“ მონაწილეობდა ჩეხეთში, ქალაქ პრადში, ორგანიზაცია-„ქართველ სტუდენტთა გაერთიანების“ მიერ გამართულ ღონისძიებაში - „ქართული სადამო“, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო, ღვინო, ასევე ტიხრული მინანქარი, თეჯა და სხვა ხელნაკეთი ნივთები. სადამოს ესწრებოდნენ პრადში მცხოვრები ქართველი ხელოვანები და მოწვეული უცხოელი სტუმრები.

10. მაშავის პროექტი (2016 წ.)

2015 წლის 26 აპრილიდან 20 მაისამდე, ისრაელში, მაშავის (MASHAV- ისრაელის განვითარების საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო) და CINADCO-ს (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი) ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კურსები - „ინოვაციური ტექნოლოგიები მემცენარეობაში“, სადაც კონკურსის შედეგად და ფონდ „ლაზარეს“ ფინანსური თანადგომით მონაწილეობა მიიღო პროექტ „ფერმერთა სკოლა საგარეჯოში“ მენეჯერმა. სასწავლო კურსები მოიცავდა ისრაელის მიღწევების გაცნობას სოფლის მეურნეობაში. მიღებული გამოცდილება და ცოდნა მენეჯერის მიერ გამოყენებული იქნა პროექტის („ფერმერთა სკოლა საგარეჯოში“) წარმატებით მართვაში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალ ტექნოლოგიებს: სარწყავ სისტემებს, კონკრეტულად კი წვეთოვან სისტემას, რომელიც დამონტაჟდა მეზოსტნის სადემონსტრაციო ნაკვეთზე.

2015 წლის შემოდგომაზე, მაშავის (MASHAV- ისრაელის განვითარების საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო) მიერ გამოცხადდა კონკურსი მიკრო საფინანსო გრანტზე მაშავის კურსდამთავრებულთათვის. „ფერმერთა სკოლამ“ საგრანტო განაცხადი მოამზადა, წარდგენილმა პროექტმა გაიმარჯვა, ხოლო „ლაზარემ“ მოიძია დამატებითი ფინანსები და რესურსები. პროექტის ღირებულება შეადგენდა 23 250 ლარს (9 690 დოლარი).

2016 წლის 20 აპრილს, ისრაელის საელჩომ და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მამავის ცენტრმა, საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლას“ განვითარებისა და გაფართოებისთვის გამოუყო გრანტი, რომელიც ითვალისწინებდა საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში, „ფერმერთა სკოლის“ მომავალი პროგრამის - „მეხილეს“ განხორციელებისთვის პრაქტიკული სწავლების ბაზის შექმნას. ამისათვის დაიგეგმა მიწის ნაკვეთის შეძენა, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მონტაჟი და ხეხილის ბაღის გაშენება. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, 2016 წლის 18 მარტს, ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი ეწვია „ფერმერთა სკოლას“, მან დაათვალიერა სასწავლო სივრცე, მოისმინა კოლეჯის დირექტორის სამუშაო ხედვა; სკოლას საჩუქრად გადასცა წიგნები ისრაელზე და კოლექტივს წარმატებები უსურვა პროექტის განხორციელებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

2016 წლის ივნისში, მამავის მიღებული გრანტით „ფერმერთა სკოლისთვის“ მოეწყო ხეხილის ბაღის სასწავლო ბაზა, რომელიც გაშენდა 2 ჰა მიწის ფართობზე, დაირგო სხვადასხვა სახის ხეხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი, ნუში, კაკალი (1060 ნერგი), სადაც ფერმერები გადიან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას „მეხილეს“ სპეციალობაში, ხოლო ხეხილის ბაღის პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი კი მოხმარდება „ფერმერთა სკოლის“ განვითარებას.

11. საგანმანათლებლო პროექტი „წიგნები სკოლებს“ 2016-2017 წწ.

(სს „თელასი“)

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდმა „ლაზარე“, სს „თელასის“ ფინანსური მხარდაჭერით 2016-2017 წლებში განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი სახელწოდებით-„წიგნები სკოლებს“.

პროექტის აღწერა და მიზანი

როგორც ცნობილია, მოსწავლის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია კითხვის უნარი. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია წიგნის მიმართ ინტერესის დაქვეითება, ამას ემატება სკოლის ბიბლიოთეკებში წიგნების ნაკლებობაც, რაც ხელს უშლის ახალგაზრდებს წიგნიერების ამაღლებაში. კლასგარეშე განათლება, რომელსაც მოსწავლე არაფორმალურ გარემოში იღებს, ისევე აუცილებელია მისი სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის, როგორც კლასში გამოყენებული სპეციალური მეთოდები.

პროექტის მიზანი იყო: მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მათთვის საინტერესო წიგნები, შეივსოს სკოლის ბიბლიოთეკის ფონდები, ამასთან ახალგაზრდებს ჰქონდეთ საშუალება უფრო მეტად გაიმყარონ ცოდნა სხვადასხვა საგნებში, რომელიც უზრუნველყოფს მათში კვლევითი, შემოქმედებითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას.

„ლაზარე“ დაუკავშირდა საჯარო სკოლების ადმინისტრაციებს და გააცნო პროექტის შინაარსი. მათთან შეთანხმებით შეიმუშავა ბიბლიოთეკებისთვის საჭირო წიგნთა ნუსხა და გაითვალისწინა მასწავლებელთა რეკომენდაციები. საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის საჯარო სკოლებს (მესტიის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის სკოლა -გიმნაზია, სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის სკოლა -პანსიონი, ამბროლაურის რაიონის №1 და №2 საჯარო სკოლები, ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია, ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, ბორჯომის მე-6 საჯარო სკოლა, წეროვანის №3 საჯარო სკოლა) საჩუქრად გადაეცათ სასწავლო და მხატვრული ლიტერატურა, შედეგად 1000-ზე მეტი წიგნით შეივსო და მრავალფეროვანი გახდა აღნიშნული სკოლების ბიბლიოთეკის ფონდები.

12. სოფლის მეურნეობის პროექტი „ფერმერთა სკოლა სართიქალაში“

2016-2017წწ. (HEKS/EPER)

2016 წელს, შვეიცარიულმა ორგანიზაცია HEKS/EPER-მა „ფერმერთა სკოლის“ განვითარებისთვის გამოყო გრანტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ცოდნის გავრცელება და სამეწარმეო უნარების გავრცელების ხელშეწყობა. პროექტის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიქალაში დაარსდა ნინოწმინდის პროფესიული კოლეჯის „ფერმერთა სკოლის“ ფილიალი (ხანგრძლივობა 2,5 წელი). თეორიული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი სალექციო აუდიტორია, შესაბამისი სასწავლო ინვენტარით განთავსდა სართიქალის კულტურის სახლში. სწავლება მიმდინარეობდა შემდეგ სპეციალობებზე: მეცხოველეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა და ფერმერი.

სასწავლო პროგრამების (თეორიული და პრაქტიკული კურსები) შედგენა მოხდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური კადრების მიერ. „ფერმერთა სკოლაში“ სპეციალური საგნების გარდა, სასწავლო პროგრამა დატვირთული იყო ტრენინგებით ფერმის მართვასა და მარკეტინგში, რომლებიც წარმოადგენს ბიზნესის წარმოების აუცილებელ პირობას. ასევე, სტუდენტებისთვის ეწყობოდა სასწავლო ტურები დემო-ფერმებში და პრაქტიკები „ფერმერთა სკოლის“ ნაკვეთებში.

2017 წელს, პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახემძღვანელო მეხილეობაში(ტირაჟი 100 ცალი), რომელიც შედგება ორი ნაწილისგან -მეხილეობის ზოგადი და სპეციალური ნაწილი. წიგნი დაეხმარება აგრარული მიმართულების სტუდენტებს და მეხილეობის დარგით დაინტერესებულ პირებს, მიიღონ ცოდნა მეხილეობის ზოგად თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში.

13. ვითიბი (VTB) ბანკის საქველმოქმედო-ჰუმანიტარული პროექტი

2016-2017წწ.

2016 წელს, „ლაზარეს“ დაუკავშირდა ვითიბი ბანკის წარმომადგენლობა და გამოთქვა სურვილი ფონდთან ერთად საქველმოქმედო-ჰუმანიტარული პროექტების განხორციელებისა, რომლის ფარგლებშიც 2016-2017 წლებში, უპოვრებს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, პენიტენციალურ დაწესებულებებში მყოფ პატიმრებსა და პატრიარქის ნათლულებს, საადდგომო და საშობაო დღესასწაულებზე, გადაეცათ საჩუქრები.

14. ფონდ „ლაზარეს“ მიერ არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული

პირების დაფუძნება

2017 წელს ფონდმა „ლაზარემ“, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული კოლეჯის ბაზაზე ჩამოაყალიბა ა(ა) იპ „ახალი პროფესიული კოლეჯი,“ ამავე წელს ა(ა) იპ „ახალგაზრდული სახლი.“

„ახალ პროფესიულ კოლეჯში“ სარემონტო სამუშაოები და აღჭურვა მოხდა საქართველოს საპატრიარქოსა და კომპანია „თელასის“ ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო 2018 წელს დაწესებულებას მიენიჭა ავტორიზებული კოლეჯის სტატუსი; 2019 წლიდან სასწავლებელი განახორციელებს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო მოდულურ პროგრამას: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, ოფისის მენეჯერი, ღონისძიების ორგანიზატორი. არაფორმალური მიმართულებით კი მოამზადებს მემინანქრისა და სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტებს.

„ახალგაზრდული სახლის“ შექმნის წინაპირობა სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული მოზარდებია. გაეროს კვლევის თანახმად, ეს მოზარდები „უხილავი ბავშვები“ არიან და რადგან სისტემა მათ ვეღარ ხედავს, ისინი სეგრეგირებულ ქვეკლასს ქმნიან. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, 2016 წელს საადღგომო ეპისტოლეში გამოეხმაურა აღნიშნულ პრობლემას: „ეკლესიას დიდი სურვილი აქვს მზრუნველობა გაუწიოს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ასაკის გამო ბავშვთა სახლებში აღარ აჩერებენ, წასასვლელიც არსად აქვთ და არც ცხოვრებისთვის არიან მომზადებულნი. ჩვენ გამოვყავით, როგორც ტერიტორია, ასევე შენობა და არასამთავრობო სექტორთან, ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიასთან თანამშრომლობით ვფიქრობთ, აქ გავხსნათ სახელობო-პროფესიული სასწავლებელი, სადაც 18 წლის გოგონებისა და ვაჟების გარკვეული რაოდენობა 23 წლამდე იცხოვრებს კიდევ და დამოუკიდებელი არსებობისთვისაც მოემზადება“.

საპატრიარქოს სოციალურმა დეპარტამენტმა, დარგის წამყვანი სპეციალისტების დახმარებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ბავშვთა კოალიციის ჩართულობით შეიმუშავა კონცეფცია, თუ როგორი უნდა იყოს სტანდარტი ასეთი ტიპის სერვისში. პრემიერ მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, რომელმაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად გულისხმიერად შეისწავლა საქართველოს საპატრიარქოს სოციალური დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევა, გამოთქვა მზადყოფნა გადაედგა ქმედითი ნაბიჯები ახალგაზრდული სახლის დაარსებისთვის. შედეგად: 2017 წელს, საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ მიერ დაარსდა „ახალგაზრდული სახლი“ (საქართველოს საპატრიარქოს კუთვნილ ტერიტორიაზე: ქ.თბილისი, ს.ჩიქოვანის N14). პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, ასოციაცია „ცხოვრების შანსთან“ და გერმანულ ორგანიზაცია „აგაპედიასთან“ ერთად.

„ახალგაზრდული სახლი“ არის კომპლექსური და აქვს რამდენიმე სამუშაო მიმართულება:

- ინდივიდუალური ფსიქო-კონსულტირება;
- ჯგუფური მუშაობა და ტრენინგები;
- პიროვნული, სოციალურ-ემოციური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა;
- პროფესიული სამუშაო შეხვედრები და პრაქტიკა;

სტაჟირების პროგრამაში ჩართვის/დასაქმების ხელშეწყობა;

„ახალგაზრდული სახლის“ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარი იღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას:

- საცხოვრისი
- დღის ცენტრი
- იურიდიული მომსახურება
- ფსიქოლოგის მომსახურება
- სოციალური პედაგოგის მომსახურება, პიროვნული, სოციალურ-ემოციური და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარება
- პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მუშაობა , კარიერის დაგეგმვა და დასაქმების ხელშეწყობა
- არაფორმალური განათლების სახელოსნოები: სასწავლო კულინარია, ფლორისტიკადა სამკერვალო (შეიქმნა სოციალური საწარმო „ორნამენტი“-ს ბაზაზე, რომელიც ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის მხარდაჭერით გაიხსნა)
- თანასწორი განმანათლებლის მომსახურება
- მენტორის მომსახურება
- ექიმის მომსახურება
- ინგლისური და გერმანული ენის შემსწავლელი კურსები
- „ხელობა, როგორც ხელოვნება“ -ხელოვნების საათი (თექა, ფერწერა და ა.შ)
- სასულიერო და ჰოლისტური განათლების პროგრამა
- ნათლობის პროექტი